



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



**აღქმანდრე რაიბული
ღავით სიხარულიძე**

**ევროკავშირსა და
საქართველოს შორის
ასოცირაციის შეთანხმების
თანახმად ქართული
მხარის მიერ ფინანსური
მომსახურების სფეროში
აღებული ვალდებულებების
შესრულების ანალიზი.**

2020

ევროკავშირსა და საქართველოს შორის
ასოცირების შეთანხმების თანახმად
ქართული მხარის მიერ ფინანსური
მომსახურების სფეროში აღებული
ვალდებულებების შესრულების ანალიზი.

ალექსანდრე რაიბული
დავით სიხარულიძე

თბილისი
2020



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ეს კვლევა შეიქმნა ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორების შეხედულებებს.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
ტელეფონი: (+995 32) 2 39 90 19
ელექტრონული ფოსტა: office@csrdg.ge
www.csrdg.ge

სარჩევი

1.	შესავალი: ფინანსური მომსახურება.....	6
1.1.	თემის აქტუალობა	6
1.2.	კვლევის მეთოდოლოგია და სტრუქტურა	7
2.	დაზღვევა	8
2.1.	დაზღვევის ისტორია საქართველოში.....	8
2.2.	დაზღვევის სფეროში აღებული ვალდებულებების ანალიზი	9
2.3.	საპენსიო რეფორმა	18
3.	ფასიანი ქაღალდები	20
3.1.	ფასიანი ქაღალდების ისტორია	20
3.2.	ფასიანი ქაღალდების სფეროში აღებული ვალდებულებების ანალიზი	22
4.	მიმოიხილავთ ფასიან ქაღალდებში კოლექციური ინვესტიციების განსახორციელებლად შექმნილი სანარმო (UCITS).....	25
5.	ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურა	28
5.1.	ფინანსური ბაზრის მიმოხილვა	28
5.2.	ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის სფეროში აღებული ვალდებულებების ანალიზი	29
6.	საბადასახადო მომსახურება.....	32
7.	ფულის გათეთრების სანინალმდებო ქმედებები	34
7.1.	ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში აღებული ვალდებულებების ანალიზი.	34
8.	ფინანსური მომსახურება.....	38
9.	სამომხმარებლო კრედიტი	40
10.	დასკვნა	43
11.	შემოკლებების, სპეციფიკური და უცხო სიძვედების განმარტებები.....	45
12.	გამოყენებული წყაროები.....	47

ცხრილები და ნახაზები

ცხრილი # 1 – ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიების რეესტრი	9
ცხრილი # 2 – მედიკამენტების მომართვები დაზღვევის სახეობების მიხედვით	15
ნახაზი # 3 – „მწვანე ბარათის“ სისტემის სქემა	18
ნახაზი # 4 – საინვესტიციო ფონდის მოქმედების სქემა	26
ნახაზი # 5 – ოფციონები	31
ნახაზი # 6 – ფინანსური სერვისების განხორციელებისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის ახალი ნაბიჯი	41

1. შესავალი: ფინანსური მომსახურება

1.1. თემის აქტუალობა

წინამდებარე ნაშრომი ეხება საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ფარგლებში ფინანსური მომსახურების რეგულაციებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას. სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, განსაზღვრულ ვადაში, ეტაპობრივად, უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოვება ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან შემდეგ სფეროებში:

1. დაზღვევა;
2. ფასიანი ქაღალდები;
3. მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში კოლექტიური ინვესტიციების განსახორციელებლად შექმნილი სანარმო (UCITS);
4. ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურა;
5. საგადახადო მომსახურება;
6. ფულის გათეთრების სანინააღმდეგო ქმედებები;
7. ფინანსური მომსახურება;

შენიშვნა:

„ფინანსური მომსახურება“ მოიცავს კიდევ ერთ „საბანკო სფეროს“, რომელიც ამ კვლევაში განხილული არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სფეროები ევროკავშირის ქვეყნებში განვითარების უმაღლეს დონეზეა, თითოეული ქვეყანა და ევროკომისია ძალისხმევას არ აკლებს მათ შემდგომ დახვეწა-ოპტიმიზაციას. საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ამ ქვეყნების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გამოცდილების გაზიარება.

ზემოთ ჩამოთვლილი სფეროებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია:

- დაზღვევა და საპენსიო რეფორმა – რაც ქვეყნის ყველა მოქალაქეს ეხება;
- ფასიანი ქაღალდები – რადგან ეს ბაზარი საქართველოში ძალიან სუსტია და საჭიროებს განვითარებას. ეროვნული ბანკის მონაცემებით¹ საქართველოს საფონდო ბირჟაზე მხოლოდ 31 კომპანიის აქციები ან ობლიგაციები არის დაშვებული სავაჭროდ. **შესადარებლად:** ავსტრიის საფონდო ბირჟაზე² 780-ზე მეტი კომპანიის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაა შესაძლებელი. ავსტრია კი ოდნავ დიდი ქვეყანაა საქართველოზე.
- ფულის გათეთრება და ტერირიზმთან ბრძოლა – ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობის აღკვეთის ღონისძიებების გატარებას, ინსაიდერული ინფორმაციის გამჟ-

1 <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=487>

2 <https://www.wienerborse.at/emittenten/aktien/unternehmensliste/>

ღავენების აღკვეთას და ფინანსური ინსტიტუტების უკანონო მიზმებისათვის გამოყენების დაუშვებლობას დიდი ყურადღება ექცევა ევროკავშირის მხრიდან. ამ თვალსაზრისით საქართველომ დიდი მუშაობა გასწია თუ საკანონმდებლო ბაზის შემუშავების და თუ სხვა ქმედითი ნაბიჯების გადადგმის კუთხით.

საფინანსო სექტორის როლი ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებაში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იგი ეფექტიანად აკავშირებს კრედიტორებსა და მსესხებლებს და ხელს უწყობს ინვესტიციების, დასაქმებისა და ეკონომიკის ზრდას. ამისათვის საჭიროა ფინანსური ინსტიტუტების, ფინანსური შუამავლობისა და საბაზრო ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება, ფინანსური სისტემის მდგრადობა შოკების მიმართ და სისტემური რისკების შემცირება. ფინანსური სტაბილურობა ასევე გულისხმობს ფინანსური სექტორის განვითარებას და ფინანსური ბაზრების გაღრმავებას. როდესაც ფინანსური სექტორი ეფექტიანად ფუნქციონირებს, დეპოზიტების მოზიდვა და სესხების გაცემა სისტემური შეფერხების გარეშე ხორციელდება, ასევე, ოპტიმალურია ფინანსური რისკების შეფასება, ფასში ასახვა და გადანაწილება, ხოლო რეგულირების ტვირთი არ აღემატება რისკების მატერიალიზაციის შემთხვევაში განეულ ეკონომიკურ და სოციალურ დანახარჯს.

აუცილებელია ფინანსური სექტორის ყოვლისმომცველი სტრატეგიის დასახვა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რათა იგი უფრო მეტად უწყობდეს ხელს კაპიტალდაბანდებასა და გრძელვადიანი დანაზოგების ზრდას. ამ მხრივ საქართველოს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის საბანკო, სადაზღვევო და ფასიანი ქაღალდების სფეროების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან, რომელიც მიზნად ისახავს ფინანსური ბაზრების ფუნქციონირების უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფას, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და მოდერნიზაციას.

1.2. კვლევის მეთოდოლოგია და სტრუქტურა

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდის ისეთი ინსტრუმენტი, როგორცაა კონტენტ³-ანალიზი. კერძოდ, დეტალურად გაანალიზებულ იქნა საქართველოს და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების დოკუმენტები, ფინანსური მომსახურების სფეროში ვალდებულების შესრულების სამოქმედო გეგმები, სამთავრობო პროგრამები, ბიულეტენები და სტრატეგიები, საქართველოს მთავრობის დადგენილებები, კანონები და კანონქვემდებარე აქტები, საკანონმდებლო ინიციატივები, სახელმწიფო ბიუჯეტი და მისი თანმხლები განმარტებითი დოკუმენტები, მათ შორის, “ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების” დოკუმენტი, სხვა სამთავრობო დოკუმენტები, მთავრობის წარმომადგენელთა ცალკეული განცხადებების და საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე. ხოლო ვალდებულებების შედეგები შეჯამებულია სტატისტიკურ ანალიზზე დაყრდნობით.

ნაშრომი შედგება 12 თავისგან, რომელსაც წინ დართული აქვს შესავალი, სრულდება დასკვნითი ნაწილით, სპეციფიური და უცხო სიტყვების განმარტებებით და გამოყენებული წყაროების ნუსხით.

3 კონტენტი— ეს არის ინფორმაცია, რომელიც საიტზეა განთავსებული, დაწყებული — ტექსტიდან ვიდეორგოლებით და სურათებით დამთავრებული.

2. დაზღვევა

დაზღვევა სულაც არ არის ბოლო ერთი ან ორი საუკუნის გამოგონება. ჩვ.წ.ა. 1800 წელს ძველ ბაბილონში უკვე არსებობდა მესამე პირების მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა. დღევანდელი სახით დაზღვევა კი, როგორც ბიზნესი, სათავეს იღებს მე-14 საუკუნის იტალიაში, როდესაც დაიწყო გემებისა და მათი ტვირთების დაზღვევა მეკობრული თავდასხმებისგან. რადგან ყველა გემზე ერთდროულად თავდასხმა გამორიცხული იყო, შესაძლებელი გახდა თავდასხმების აღბათობის გამოთვლა და შესაბამისად, სადაზღვევო შენატანების (პრემიების) დაანგარიშება.

დაზღვევის პრინციპის გაგება ძალიან ადვილია, გამარტივებულად შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

ადამინები, რომლებსაც ერთი და იმავე სახის ზიანის მიყენების ალბათობა (ავარია, ავადმყოფობა, სამუშაოს დაკარგვა, ბუნებრივი კატასტროფები და აშ.) ემუქრებათ, ერთ ორგანიზაციაში ერთიანდებიან (ანუ სადაზღვევო კომპანიაში), რეგულარულად იხდიან წინასწარ განსაზღვრულ შენატანს, რომლიდანაც შემდეგ ფინანსდებიან ისინი, ვისაც ზიანი მიადგება. ასეთი სისტემა ქმედითაა მაშინ, თუ ყველას ერთდროულად არ მიადგა ან მიადგება ზიანი. რაც უფრო დიდია წევრთა რაოდენობა, მით უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ ყველას ერთდროულად დაუდგება ეს საჭიროება.

განვიხილოთ ძალიან მარტივი მაგალითი, თუ რა დადებითი შედეგი შეიძლება ჰქონდეს დაზღვევას:

დავუშვათ, 10 000-მა ადამიანმა დააზღვია თავისი ბინა ან სახლი ხანძრის საწინააღმდეგოდ, ყოველი მათგანი იხდის წელიწადში 100 ლარს, ორ მათგანს დაეწვა სახლი, რომელთა ღირებულებები 100 000 და 150 000 ლარი იყო. დაზღვევა მათ აუნაზღაურებს ჯამში 250 000 ლარს. დაზღვევის გარეშე თითოეული სახლის მფლობელისთვის ძალიან ძნელი ან სულაც შეუძლებელი იქნებოდა სახლის აღსადგენი თანხის მოძიება.

2.1. დაზღვევის ისტორია საქართველოში

თუ არ ჩავთვლით 1916 წელს, როდესაც ქალაქ ბაქოში შეიქმნა კავკასიაში მოქმედი სადაზღვევო ამხანაგობა, სადაც საქართველოც ოყო განევრიანებული, სადაზღვევო ბაზრის რეალური ფუნქციონირება ჩვენს ქვეყანაში 1997 წელს იწყება.

ქვეყნის სადაზღვევო სფეროზე ზედამხედველობას ახორციელებს და ამასთანავე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელია სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“. საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 2 მაისს მიღებულ იქნა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც რიგი ცვლილებებითა და დამატებებით დღესაც მოქმედებს.

დღევანდელი მონაცემებით საქართველოში 17 სადაზღვევო კომპანია ფუნქციონირებს.

Nr.:	კომპანიის დასახელება	ვებგვერდი
1	სს სადაზღვევო კომპანია „იმედი ელ“	www.imedil.ge
2	სს სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი“	www.gpih.ge
3	სს დაზღვევის კომპანია „ქართუ“	www.cartuinsurance.ge
4	სს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაო“	www.iraogeo.com
5	სს „არდი დაზღვევა“	www.ardi.ge
6	სს სადაზღვევო კომპანია „ალფა“	www.alpha.ge
7	სს სადაზღვევო კომპანია „ევროინს ჯორჯია“	www.icgroup.com.ge
8	სს „პსპ დაზღვევა“	www.ipsp.ge
9	სს სადაზღვევო კომპანია „უნისონი“	www.unison.ge
10	სს სადაზღვევო კომპანია „პრაიმი“	www.primeinsurance.ge
11	სს სადაზღვევო კომპანია „ტაო“	www.taoinurance.ge
12	სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „კამარა“	www.kamara.ge
13	სს „თიბისი დაზღვევა“	www.tbcinsurance.ge
14	სს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“	www.aldagi.ge
15	სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“	www.benefits.ge
16	სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“	www.igg.ge
17	სს „ჰუალინგ დაზღვევა“	www.hi.ge

2.2. დაზღვევის სფეროში აღებული ვალდებულებების ანალიზი

2009 წლის 25 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/138/EC დირექტივა სადაზღვევო ბიზნესის დაწყებისა და ფუნქციონირების შესახებ.

• დაგეგმილი აქტივობა -

- სადაზღვევო კომპანიების სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბების სავალდებულოობის განსაზღვრა;
- სადაზღვევო კომპანიებისთვის გადახდისუნარიანობის ზღვრის (მარჟის) დაწესება, გაანგარიშების წესის შემუშავება;
- სადაზღვევო საქმიანობის დაწყებისათვის აუცილებელი სალიცენზიო პირობების გაფართოება;
- სადაზღვევო კომპანიების ადმინისტრატორებისათვის⁴ დამატებითი საკვალიფიკაციო და შესაფერისობის კრიტერიუმების დაწესება;
- სადაზღვევო კომპანიების, როგორც სააქციო საზოგადოების, ხელმძღვანელი ორგანოების ფორმირებისა და ფუნქციონირების აუცილებელი მინიმალური სავალდებულო მოთხოვნების დაწესება;

4 მზღვეველის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, დირექტორი. სადაზღვევო ბროკერის დირექტორი

- სამსახურისადმი სადაზღვევო საქმიანობის ამსახველი ანგარიშგების და ანალიზის ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნისა და დანერგვისათვის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება;
- საქართველოს კანონში „დაზღვევის შესახებ“ ცვლილებების პროექტის მომზადება სადაზღვევო კომპანიებში შიდა აუდიტის სავალდებულო სისტემის დანერგვის მიმართულებით;
- „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა სადაზღვევო საქმიანობის კლასიფიკაციის⁵ შესახებ კლასების მიხედვით;
- სადაზღვევო კომპანიებში აქტუარის (განმარტებები იხილეთ ქვემოთ) სისტემის დანერგვისთვის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება, აქტუარულ სფეროში პროფესიული მიდგომების მიმართულებების განსაზღვრის დაწყება;
- ცვლილების მომზადება „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიზანია საქართველოში სადაზღვევო საქმიანობის კლასიფიკაციის არსებული მოდელის დახვეწა და ევროკავშირის კლასიფიკაციასთან შესაბამისობაში მოყვანა;
- აქტუარული საქმიანობის რეგლამენტაციის საფუძვლებზე მუშაობის გაგრძელება; მოქმედი აქტუარების/აქტუარად მუშაობის მსურველთა გადამზადება/სერტიფიცირება ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

• **პასუხისმგებელი უწყება –**

- სსიპ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

• **შესრულება –**

- სამსახურის მიერ მომზადდა ცვლილება „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმადაც სადაზღვევო კომპანია შესაძლებელია დაფუძნდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმით – მართლაც, საქართველოში მოქმედი ყველა სადაზღვევო კომპანია სააქციო საზოგადოებაა;
- ამოქმედდა ცვლილებების პროექტი „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში სადაზღვევო კომპანიებში შიდა აუდიტის სავალდებულო სისტემის დანერგვის შესახებ;
- „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში შესულია ცვლილება სადაზღვევო საქმიანობის კლასიფიკაციის შესახებ კლასების მიხედვით;
- შემუშავებულია კანონპროექტი „აქტუარული საქმიანობის“ შესახებ;
- ევროკომისია–ევროკავშირის ტექნიკური დახმარების და გაცვლის პროექტის ფარგლებში მთავრობას წარედგინა კანონპროექტი – სადაზღვევო საქმიანობის კლასიფიკაციის არსებული მოდელის დახვეწის შესახებ;
- ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი აქტუარის პროფესიის დანერგვისთვის მომზადებულია სამართლებრივი და პროფესიული საფუძვლები;
- აქტუარული საქმიანობის სისტემის რეფორმის მიმართულებით შემუშავებულია სამოქმედო გეგმა;
- კომპანიები აწარმოებენ ფინანსურ გათვლებს სწორად, არის სადაზღვევო რეზერვების გათვლის მეთოდების კოორდინირებული სისტემა, მისი ფორმირება შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და კომპანიის გადახდისუნარიანობასთან;
- მიმდინარეობს სერტიფიცირებულ აქტუართა კორპუსის ფორმირება, აქტუარული საქმიანობის რეგლამენტაციის საფუძვლების დადგენა, აღნიშნული პროფესიის ადამიანები (სერტიფიცირებული აქტუარები) სავალდებულო წესით დასაქმდებიან სადაზღვევო ინდუსტრიაში.

გადახდისუნარიანობის რეზერვი (მარჟა) არის დამატებითი ფინანსური გარანტიები (ანუ თანხები), რომლებიც თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი ვალდებულებებისგან. რეზერვების გამოთვლა ემ-

⁵ კლასიფიკაცია ხდება სადაზღვევო ობიექტების და საფრთხეების სახეობების მიხედვით

ყარება კონკრეტული სადაზღვევო კომპანიის ორ სიდიდეს – გადახდილ სადაზღვევო თანხებს და შემოსულ პრემიებს.

გარდა ამისა უნდა შეიქმნას საგარანტიო ფონდი, რომელიც უნდა შეადგენდეს გადახდისუნარიანობის რეზერვის 1/3-ს. ეს ფონდი უზრუნველყოფს, რომ არ მოხდეს გადახდისუნარიანობის რეზერვის ზღვარზე დაბლა დანევა.

ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში სადაზღვევო ლიცენზიის აღება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი პირობების დაცვით⁶:

- სადაზღვევო კომპანია მხოლოდ სადაზღვევო და მისგან გამომდინარე საქმიანობით უნდა იყოს დაკავებული, სხვა კომერციული ბიზნესი ეკრძალება;
- უნდა ქონდეს საკმარისი კვალიფიცირებული საკუთარი თანხა (**qualifying holding**) კაპიტალის მინიმალური ზღვარის დასაფარად, აგრეთვე აუცილებელია იმის დასაბუთება, რომ ის ამ თანხას მომავალში შეინარჩუნებს;
- მინიმალური ქვედა ზღვარი: 2 500 000 ევრო სადაზღვევო კომპანიისთვის, რომელიც ეწევა ყველანაირ სადაზღვევო საქმიანობას, გარდა სიცოცხლის დაზღვევისა, 3 700 000 ევრო იმ კომპანიისთვის, რომელიც დაკავებულია სიცოცხლის⁷ დაზღვევით.
- აუცილებელია მოთხოვნილი ინფორმაციის წარდგენა⁸

სადაზღვევო ლიცენზიების გაცემა-გაუქმების შესახებ ინფორმაცია გროვდება დაზღვევის ზედამხედველობის ევროპულ ორგანოში (EIOPA – European Insurance and Occupational Pensions Authority).

საქართველოში სადაზღვევო ლიცენზიებს გასცემს მხოლოდ სსიპ – დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქართველოში სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა შემდეგ საქმიანობაზე:

- ა) სიცოცხლის დაზღვევა – კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება 7 200 000 ლარით;
- ბ) დაზღვევა – არასიცოცხლის – კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება 4 800 000 ლარით;
- გ) გადაზღვევა – კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება 7 200 000 ლარით;

გარდა კაპიტალის მოთხოვნისა საჭიროა აგრეთვე უამრავი დოკუმენტაციის წარდგენა.

შიდა აუდიტი სადაზღვევო კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის შემადგენელი ნაწილია. შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით⁹ შიდა აუდიტის სტრუქტურა იყოფა ორ ნაწილად: ხარისხობრივ და საქმიანობის მახასიათებლებად.

ხარისხობრივი სტანდარტი განსაზღვრავს შიდა აუდიტის:

- მიზნებს, უფლებამოსილებებს და პასუხისმგებლობებს;
- დამოუკიდებლობას და ობიექტურობას;
- ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას;
- უწყვეტ პროფესიულ განვითარებას;
- ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამას;
- შეუსაბამობის გამჟღავნებას;

6 <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32009L0138>

7 ერთი და იგივე კომპანია არ უნდა ფლობდეს ერთდროულად ლიცენზიას როგორც სიცოცხლის დაზღვევაზე, ასევე სხვა ტიპის დაზღვევაზე.

8 განცხადება, აქციონერთა შესახებ ინფორმაცია, აქციონერთა საერთო კრების პროტოკოლი ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ, იურიდიულ პირად დარეგისტრირების მოწმობა, აუდიტის დასკვნა ბუღალტრული აღრიცხვიანობის შესახებ, მენეჯმენტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი.

9 https://global.theiaa.org/translations/PublicDocuments/Standards_2011_Georgian.pdf

საქმიანობის სტანდარტი განსაზღვრავს შიდა აუდიტის:

- საქმიანობის მართვას;
- გეგმის წარდგენას და დამტკიცებას;
- რესურსების მართვას;
- პოლიტიკის და პროცედურების კოორდინაციას;
- ანგარიშგებას უმაღლესი მენეჯმენტისა და საბჭოს წინაშე;
- რისკის მართვას და კონტროლს;
- ანალიზს და შეფასებას;
- მომსახურების შედეგების შესრულებაზე მონიტორინგს.

აქტუარები¹⁰ მათემატიკური სტატისტიკის და ფინანსური ანალიზის სპეციალისტები არიან, რომლებსაც სადაზღვევო ტარიფების გამოთვლის მეთოდების განსაზღვრა და ყოველგვარი გაანგარიშებადი პრობლემის მოგვარება ევალებათ. აქტუარულ მეცნიერებას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგ. დიდ ბრიტანეთში აქტუართა ინსტიტუტი 1848 წელს დაარსდა. მრავალ ქვეყანაში სადაზღვევო კომპანიებს და საპენსიო სააგენტოებს აქტუარის ყოლა კანონით მოეთხოვებათ. ბოლო წლებში საინვესტიციო და საბანკო სექტორში აქტუართა რაოდენობა დაახლოებით 30%-ით გაიზარდა. აქტუარის მოვალეობაა შემდეგი ამოცანების გადწყვეტა:

- სადაზღვევო რისკების შეფასება;
- სადაზღვევო ტარიფების განსაზღვრა;
- რეზერვების დაანგარიშება;
- ზარალების სტატისტიკური ანალიზი;
- (ახალი) სადაზღვევო პროდუქტების სამართლიანი ფასის განსაზღვრა;
- მოსალოდნელი კატასტროფების ფინანსური შედეგების პროგნოზირება;
- და სხვა.

1991 წლის 19 დეკემბრის საბჭოს 91/674/EEC სადაზღვევო კომპანიების წლიური და კონსოლიდირებული ანგარიშების შესახებ დირექტივასთან დაახლოებისათვის:

- **დაგეგმილი აქტივობა –**
 - სადაზღვევო კომპანიების წლიური და კონსოლიდირებული ანგარიშგების მოქმედი ფორმების და დირექტივით გათვალისწინებული ფორმების შედარებითი ანალიზი მათი ეტაპობრივი ჰარმონიზაციის მიზნით;
- **პასუხისმგებელი უწყება –**
 - სსიპ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური;
- **შესრულება –**
 - მოხდა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

ამ დირექტივაში მოცემულმა ანგარიშგების მოთხოვნებმა უნდა უზრუნველყონ ყველა ღია სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობა და შედარებითობის მაღალი დონე. აღნიშნული წარმოადგენს აუცილებელ პირობას სადაზღვევო ბაზრის შესაქმნელად, რომელიც უნდა ფუნქციონირებდეს შეუფერხებლად და ეფექტიანად.

სადაზღვევო კომპანიის ფინანსური სიტუაციის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მისაღებად საჭიროა მისი კაპიტალი აღრიცხული იყოს როგორც თავდაპირველი, ისე მიმდინარე ღირებულებებით. კომპანიის ბალანსი უნდა ჩაიშალოს როგორც გეოგრაფიულად დაყოფილი ბაზრების მიხედვით, ისე საქმიანობის სფეროების შესაბამისად (სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და აშ. დაზღვევები).

10 <http://www.aafa.ge/profession.html>

ეს დირექტივა ევროკავშირის თითოეულ ქვეყანას არაუგვიანეს 1994 წლის პირველი იანვრისა უკვე ინტეგრირებული ჰქონდა თავის შიდა კანონმდებლობაში.

1991 წლის 18 დეკემბრის ევროკომისიის რეკომენდაცია სადაზღვევო შუამავლების შესახებ (92/48/EEC).

• **დაგეგმილი აქტივობა –**

- დაზღვევის შუამავლების სტატუსის განსაზღვრა (დაკონკრეტება), მათი რეგისტრაციის (შესაძლოა ლიცენზირების) საკითხი, ამისთვის აუცილებელი პირობები, საკვალიფიკაციო (პროფესიული) მოთხოვნები („დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელება).
- ასევე, სსიპ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის/აქტების გამოცემა სადაზღვევო საშუამავლო საქმიანობის რეგულირების თაობაზე (იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაცია მოიცავს ლიცენზირებას, ცვლილებები შევა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში).

• **პასუხისმგებელი უწყება –** სსიპ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

• **შესრულება –**

- სამსახურის მიერ პროექტის სახით მომზადდა ცვლილება–დამატება „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც ასახავს დაზღვევის შუამავლების (სადაზღვევო ბროკერი და დაზღვევის აგენტი) ერთიან რეგულაციაში მოქცევას.
- 2015 წელს გაუქმდა ძველი და დამტკიცდა ახალი წესი სადაზღვევო შუამავლების ანგარიშგების შესახებ.
- მიღებული კანონით სადაზღვევო შუამავლები დაექვემდებარნენ სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა ფინანსური ინტერესების დაცვას.
- სადაზღვევო საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია ფლობდეს კანონით დადგენილი კაპიტალის / საგარანტიო ფონდის მინიმალურ ოდენობას

ევროკავშირში სადაზღვევო შუამავლის ლიცენზიის მისაღებად საჭიროა ლიცენზიანტს ახასიათებდეს:

1. პიროვნული სანდოობა, ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს ნასამართლავი.
2. მონესრიგებული ფინანსური მდგომარეობა, მაგ. არ უნდა ჰქონდეს ფინანსური ვალდებულებები, არ იყოს მოვალეთა რეესტრში, მის წინააღმდეგ არ უნდა მიმდინარეობდეს ვალის ამოღების იძულებითი აღსრულებითი ღონისძიებები.
3. თვითონვე უნდა იყოს დაზღვეული მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობებით.
4. ცოდნა-გამოცდილება, უნდა ჰქონდეს დიპლომი ფინანსებში / დაზღვევაში და მრავალწლიანი საქმიანობის გამოცდილება სადაზღვევო სფეროში.

საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობით¹¹ „ლიცენზირებას არ საჭიროებს დაზღვევის აგენტი-სა და სადაზღვევო ბროკერის საქმიანობა, აგრეთვე სადაზღვევო რისკის, ზარალის მოცულობისა და შემთხვევის უტყუარობის შეფასებასთან დაკავშირებული საქმიანობა, დაზღვევის სფეროში საკონსულტაციო და კვლევითი მომსახურება“.

2002 წლის 9 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/92/EC სადაზღვევო მედიაციის შესახებ დირექტივასთან დაახლოების მიზნით, სადაზღვევო ბროკერების საქმიანობის საზედამხედველო ჩარჩოს სრულყოფა:

11 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29884?publication=27>

• **დაგეგმილი აქტივობა –**

- დაზღვევის სფეროში საშუაშაველო საქმიანობის განმახორციელებელი პირების საქმიანობის სტანდარტიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, რაც გააუმჯობესებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ხარისხს და ბაზარს დაიცავს არაკეთილსინდისიერი შუამავლებისგან;
- სადაზღვევო ბროკერების (შუამავლების) საქმიანობის საზედამხედველო ჩარჩოს შემდგომი სრულყოფის მიზნით, საბროკერო (საშუამავლო) საქმიანობის განმახორციელებელი პირების მიმართ მოთხოვნების დადგენა.

• **პასუხისმგებელი უწყება –** სსიპ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

• **შესრულება –**

- მომზადდა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ» კანონპროექტის სამუშაო ვერსია;
- დაზღვევის სფეროში საბროკერო (საშუამავლო) საქმიანობის განმახორციელებელი პირების მიმართ დადგენილია შესაბამისი მოთხოვნები, რაც ხელს უწყობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ხარისხის გაუმჯობესებას და იცავს ბაზარს არაკეთილსინდისიერი შუამავლებისგან.
- **შენიშვნა:** დირექტივა 2002/92/EC გაუქმდა 30.09.2018-ში და ჩანაცვლდა (EU) 2016/97 დირექტივით. მიუხედავად იმისა რომ, კანონპროექტი მომზადდა, მისი იმპლემენტაციისა და შესრულების ვადების საკითხი განხილული და შეთანხმებული უნდა იყოს ევროკავშირის შესაბამის ქვეკომიტეტზე.

დირექტივა ეხება ყველა სადაზღვევო შუამავალს: როგორც სადაზღვევო ბროკერს¹², ისე დაზღვევის აგენტს¹³.

ევროკავშირის დირექტივის მიღების მიზანი იყო, ერთი მხრივ, სადაზღვევო შუამავლებისთვის თავიანთი საქმიანობის განხორციელების თავისუფლების გარანტირება, მეორე მხრივ, სადაზღვევო პაკეტებით მოსარგებლე მომხმარებელთა უფლებების დაცვის უფრო მეტად უზრუნველყოფა. დირექტივაში შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხებია რეგულირებული:

1. შუამავლების საჯარო რეესტრში შეტანა;
2. შუამავლებისთვის ინფორმაციის გასაჯაროების ვალდებულება;
3. კონსულტაციის და დოკუმენტაციის ვალდებულება – შუამავალი ვალდებულია კლიენტს კეთილსინდისიერად გაუწიოს კონსულტაცია და შემდეგ მოახდინოს მისი პროტოკოლირება დოკუმენტის სახით;
4. სადაზღვევო მედიაციის ჩამოყალიბება;
5. კლიენტების თანხების დაცვა.

მედიაცია¹⁴ ეს არის პროცესი, რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით, არასასამართლო გზით დასრულებას.

2015 წელს ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციასა“ და სადაზღვევო კომპანიებს შორის გაფორმდა შეთანხმება „დაზღვევის მედიაციის“ შესახებ. შეთანხმებაში მონაწილეობდნენ სადაზღვევო კომპანიები:

1. სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“
2. სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“

12 სადაზღვევო ბროკერი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში და დამოუკიდებლად ახორციელებს დაზღვევის სფეროში საშუაშაველო საქმიანობას, როგორც თავისი სამენარმეო საქმიანობის სახეობას.

13 დაზღვევის აგენტი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს მზღვეველის დავალებით და სახელით მისთვის მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

14 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1>

3. სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“
4. სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“
5. სს „სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი“
6. სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“
7. სს „პსპ დაზღვევა“
8. სს „სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფი“

თუ თქვენ დაზღვეული ბრძანდებით და სადაზღვევო კომპანიამ თქვენი უფლებები დაარღვია, შეგიძლიათ ჯანმრთელობის დაზღვევის მედიატორს მიმართოთ. ყოველი მიმართვა მედიატორის რეგულარულ ანგარიშებში აისახება, რაც თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია სადაზღვევო კომპანიის იმიჯთან. ამიტომ ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ პირველ რიგში თვითონ სადაზღვევო კომპანია უნდა იყოს დაინტერესებული კლიენტების კმაყოფილებით და დავის შემთხვევაში პირდაპირ მათთან მოავაროს საკითხი.

2019 წლის სამი კვარტლის მედიატორებთან მომართვების ანალიზი დაზღვევის სახეობების მიხედვით შემდგენიარად გამოიყურება¹⁵: (2019 წლის IV-კვარტალი ჯერ გამოქვეყნებული არ არის).

ცხრილი # 2 – მედიატორებთან მომართვები დაზღვევის სახეობების მიხედვით

Nr.:	დაზღვევის სახეობა	I	II	III	ჯამი
1	აგრო დაზღვევა	1	4	8	13
2	სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	4	1	2	7
3	სიცოცხლის დაზღვევა	0	1	0	1
4	ჯანმრთელობის დაზღვევა	45	51	31	127
	ჯამი	50	57	41	148

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში 18 სახეობის დაზღვევა არსებობს, მედიატორთან მომართვების ეს რაოდენობა უმნიშვნელოდ გამოიყურება. 2019 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით დაზღვევის სახეობებია¹⁶: (დალაგებულია ანბანის მიხედვით).

1. ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა;
2. იურიდიული ხარჯების დაზღვევა;
3. მცურავ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევა;
4. მცურავი სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა (კორპუსის დაზღვევა);
5. საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა;
6. სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა;
7. სამოგზაურო დაზღვევა;
8. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;
9. სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა;
10. საფინანსო დანაკარგებისაგან დაზღვევა;
11. სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა);
12. სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;

15 <http://www.insurance.org.ge/index.php?a=main&pid=348&lang=geo>

16 <http://insurance.gov.ge/Statistics.aspx>

13. საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევა;
14. საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (კორპუსის დაზღვევა);
15. სიცოცხლის დაზღვევა;
16. ტვირთების დაზღვევა;
17. უბედური შემთხვევის დაზღვევა;
18. ქონების დაზღვევა.

2019 წლის 9 თვის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიების მიერ სულ მოზიდული პრემიები პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან შეადგენს **481,85** მლნ. ლარს, საიდანაც პირველი სამეული მოზიდული პრემიების სიდიდის მიხედვით ასე გამოიყურება:

1. სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა – **180,97** მლნ. ლარი;
2. სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა) – **84,38** მლნ. ლარი;
3. ქონების დაზღვევა – **72,01** მლნ. ლარი.

2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/103/EC დირექტივა, რომელიც ეხება ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებისას სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას და მოცემულ პასუხისმგებლობასთან მიმართებაში ამ ვალდებულების შესრულებას:

• **დაგეგმილი აქტივობა –**

- ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის სქემისა და პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრის მიზნით სამუშაოების დაწყება;
- სადაზღვევო ბროკერების (შუამავლების) საქმიანობის საზედამხედველო ჩარჩოს შემდგომი სრულყოფის მიზნით, საბროკერო (საშუამავლო) საქმიანობის განმახორციელებელი პირების მიმართ მოთხოვნების დადგენა;
- „ავტოტრანსპორტის მფლობელთა მესამე პირების წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ კანონპროექტზე მუშაობის დაწყება.

• **პასუხისმგებელი უწყება –**

- სსიპ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

• **შესრულება-**

- მოცემული საკითხის ირგვლივ პირველადი სამუშაოები დაწყებულია, კანონპროექტი „ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ პირველადი ვერსიით უკვე არსებობს;
- მიღებულ იქნა „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ კანონი;
- ხოლო, საქართველოში რეგისტრირებულ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონპროექტი მომზადებულია და გადაგზავნილია საქართველოს პარლამენტში განსახილველად;
- აღნიშნული კანონის ამოქმედების შემდგომ მოხდება ავტოსამოქალაქო პასუხისმგებლობის „მწვანე ბარათის“ საერთაშორისო სისტემაში საქართველოს განწევრიანებისთვის საჭირო ლონისძიებების გატარება;
- დაზღვევის სფეროში საბროკერო (საშუამავლო) საქმიანობის განმახორციელებელი პირების მიმართ დადგენილია შესაბამისი მოთხოვნები, რაც ხელს უწყობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ხარისხის გაუმჯობესებას და იცავს ბაზარს არაკეთილსინდისიერი შუამავლებისაგან.

2018 წელს ევროკომისიამ გადაწყვიტა დირექტივების გამკაცრება (2020-2021 წლებში შევა ძალაში), რაც მიზნად ისახავს ავარიების შედეგად დაზარალებულთა უკეთეს დაცვას. დაგეგმილია შემდეგი ცვლილებები¹⁷:

- ავარიის შემთხვევაში დაზღვეული სრულ ანაზღაურებას იმ შემთხვევაშიც კი მიიღებს, თუ მზღვეველი გაკოტრდება, მნიშვნელობა არ აქვს, დაზღვეულს ავარია საკუთარ ქვეყანაში მოუხდება თუ არა;
- მზღვეველმა დაზღვეულის მიერ სხვა ქვეყნიდან წარმოდგენილი ავარიის ამსახველი დოკუმენტაცია ისევე უნდა მიიღოს და აღიაროს, როგორც მაგალითად საკუთარი ქვეყნის პოლიციის მიერ შედგენილი შესაბამისი ოქმი.
- ევროკავშირის თითოეულ ქვეყანას ეძლევა მეტი უფლება-მოსილება, რომ უფრო მკაცრად გაატაროს სადამსჯელო ღონისძიებები მათ მიმართ, ვინც თავისი სატრანსპორტო საშუალებით ავტოდაზღვევის გარეშე გადაადგილდება;
- ევროკავშირის ყველა ქვეყანაში მინიმალური სადაზღვევო ასანაზღაურებელი თანხა ერთმანეთს გაუთანაბრდება.

„მწვანე ბარათის“ სისტემა¹⁸ ავტომფლობელების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის საერთაშორისო სისტემაა, რომელიც ავტომფლობელის მიერ თავისი რეგისტრაციის ქვეყნის გარეთ მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევების (ავარიების) დროს წარმოშობილ სადავო საკითხებს არეგულირებს. ამ სისტემაში ჩართული ქვეყნები ერთმანეთის სადაზღვევო პოლისებს აღიარებენ.

შეთანხმება ორ ძირითად პრინციპს ემყარება:

1. უცხოელის მიერ გამოწვეული ავარიის შემთხვევაში ორივე მონაწილე მხარე თანაბრად დაზარალებულად უნდა იყოს მიჩნეული;
2. არც ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი არ უნდა შეაფერხონ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლისას იმის გამო, რომ მას არ გააჩნია ამ ქვეყნის სადაზღვევო პოლისი.

„მწვანე ბარათი“ გაიცემა იმ ქვეყანაში, სადაც ავტოსატრანსპორტო საშუალებას რეგისტრირებული და მოქმედი სისტემაში ჩართული სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზეც. დღეის მდგომარეობით ასეთი 48 სახელმწიფოა:

- ავსტრია, ალბანეთი, ანდორა, აზერბაიჯანი, ბელგია, ბულგარეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბელარუსი, შვეიცარია, კვიპროსი, ჩეხეთი, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, საფრანგეთი, ფინეთი, გაერთიანებული სამეფო, საბერძნეთი, უნგრეთი, ხორვატია, იტალია, ისრაელი, ირანი, ირლანდია, ისლანდია, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, ლიტვა, ლატვია, მალტა, მაროკო, მოლდოვა, მაკედონია, მონტენეგრო, ნორვეგია, ნიდერლანდები, პორტუგალია, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, შვედეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, სერბეთი, ტუნისი, თურქეთი, უკრაინა.

რაც შეეხება საქართველოს, ის ჯერჯერობით არ არის წევრი.

„მწვანე ბარათის“ სისტემამ ძალიან გააადვილა საკუთარი ავტომობილით სხვა ქვეყანაში მოგზაურობა, რადგან ამ დროს დაზღვეული ხართ მესამე პირებთან მიმართებაში. აღარ არის საჭირო საზღვარზე სადაზღვევო პოლისის გაფორმება და დიდი დროის დაკარგვა.

ავარიის დროს სადავო საკითხების მოგვარებაში შემდეგი მხარეები მონაწილეობენ:


- ეროვნული სადაზღვევო ბიურო – იმ ქვეყანაში, სადაც ავარია მოხდა;
- კორესპონდენტი – იმ ქვეყნის სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელი, სადაც რეგისტრირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალება, ანუ ეს პირიც (როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური) იმყოფება ავარიის ქვეყანაში;
- სადაზღვევო კომპანია – იმ ქვეყანის, სადაც რეგისტრირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალება.

17 https://europa.eu/rapid/press-release_IP-18-3731_de.htm

18 <https://www.cobx.org/index.php/article/3/green-card-system>

შემდეგ ნახაზზე ნაჩვენებია „მწვანე ბარათის“ სისტემის სქემა. დაუშვათ, საქართველო უკვე ხელშეკრულების ნევრი-სახელწიფოა და აქ რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით ავარია ხდება გერმანიაში.

ნახაზი # 3 – „მწვანე ბარათის“ სისტემის სქემა



2.3. საპენსიო რეფორმა

2003 წლის 3 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/41/EC დირექტივა პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტების საქმიანობებისა და მათზე ზედამხედველობის შესახებ.

აღნიშნული კანონი მიიღეს 2018 წლის 6 აგვისტოს და ამოქმედდა 2019 წლის პირველ იანვარს.

საპენსიო სქემაში მონაწილე პირი შეიძლება იყოს:

- დასაქმებული (დაქირავებით მომუშავე, მომსახურების გამწვევი პირი, ვინც იბეგრება გადახდის წყაროდან – ანუ ვისაც უკავდება საშემოსავლო გადასახადი);
- თვითდასაქმებული (მაგ. ინდ. მენარმე);

დასაქმებული პირის საპენსიო ანგარიშზე თანხები გროვდება შემდეგნაირად:

- დარიცხული ხელფასის¹⁹ 2%-ს იხდის დასაქმებული;
- დარიცხული ხელფასის 2%-ს იხდის კომპანია;
- დარიცხული ხელფასის 2%, 1% ან 0-ს იხდის სახელმწიფო, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სიდიდის შემოსავალი აქვს პირს წლიურად ხელფასის სახით:

¹⁹ დარიცხული ხელფასი შეიცავს საშემოსავლო გადასახადის 20%-ს, ხელზე ასაღებ ხელფასს გამოკლებული აქვს საშემოსავლო გადასახადი, ხელფასად ითვლება კომპანიის მიერ დასაქმებულზე გაცემული ყველაწიფი სარგებელი, მაგ. როგორცაა დაზღვევის გადახდა, პრემია, საქონლის ჩუქება და ა.შ.

- o წლიური ხელფასი 24 000 ლარამდე – 2%;
- o წლიური ხელფასი 24 000 ლარიდან 60 000 ლარამდე – 1%;
- o წლიური ხელფასი 60 000 ლარს ზემოთ – 0%;

დასაქმებულებს, რომელთა ასაკი 2018 წლის 6 აგვისტოსთვის (კანონის მიღების თარიღი) არის 40 ან მეტი წელი, შეუძლიათ საპენსიო სააგენტოს მიმართონ განცხადებით საპენსიო სქემიდან გასვლის შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიმღებ პიროვნებას, ისევე როგორც მის დამსაქმებელს და სახელმწიფოს, სრულად დაუბრუნდება საპენსიო შენატანები.

თვითდასაქმებულისთვის საპენსიო სქემაში ჩართვა ნებაყოფლობითია. იმ შემთხვევაში თუ იგი მონაწილეობას გადაწყვეტს, თვითონ გადაიხდის 4%-ს, ხოლო სახელმწიფო მას 2%-ს გადაუხდის. სახელმწიფოს მხრიდან, აქაც ზემოთ ნახსენები 2%, 1% ან 0%-იანი წესი მოქმედებს.

მაგალითი:

თუ ფიზიკური პირის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურების თანხა შეადგენს დარიცხულ 1000 ლარს:

- დაკავებული საპენსიო შენატანი იქნება 20 ლარი;
- დამსაქმებელი დამოუკიდებლად გადაიხდის 20 ლარს;
- სახელმწიფო საპენსიო ფონდში შენატანი ასევე იქნება 20 ლარი.
- ხელფასად ჩაითვლება 980 ლარი (1000 – 2%);
- საშემოსავლო გადასახადის გამოკლების შემდეგ კი პირი მიიღებს 784 ლარს (980 – 980 * 20%).

საქართველოს მთავრობის²⁰ მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის „რეგულირების გავლენის შეფასება დაგროვებით საპენსიო რეფორმაზე“ მიხედვით საპენსიო რეფორმის დადებითი მხარეებია:

- მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის დონის ამაღლება;
- ეკონომიკური ზრდის და შემოსავლების ზრდის გენერირება;
- ქვეყნის შიდა დანაზოგები და ინვესტიციების ზრდა, რაც შეარბილებს საგარეო რისკებს;
- კაპიტალის ბაზრის განვითარება;
- შრომის ბაზრის ფორმალიზება;
- საპენსიო რეფორმით მშპ-ს²¹ საშუალოდ 1 პროცენტით ზრდა.

რაც შეეხება უარყოფით მხარეებს:

- შესაძლებელია თანხების განკარგვა მოხდეს პოლიტიკური მიზნებისთვის;
- დღევანდელი, ისედაც მცირე ხელფასების შემცირება 2%-ით
- 2%-ით საგადასახადო ტვირთის გაზრდა, როგორც ბიზნესის, ისე სახელმწიფო ბიუჯეტისათვის.
- საპენსიო დანაზოგის გენერირების შეუძლებლობა უმუშევარი ადამიანებისათვის;
- 40 წლამდე ასაკის დასაქმებულებისთვის სქემაში ჩართვის სავალდებულობა.

რამდენად გაამართლებს ეს საპენსიო მოდელი, ამას დრო გვიჩვენებს

საპენსიო სააგენტოს²² 2019 წლის დეკემბრის ინფორმაციით, საპენსიო ფონდში დანაზოგის სახით 563 489 312 ლარი იყო აკუმულირებული, დარიცხული სარგებელი კი 17 287 125 ლარს შეადგენდა, საპენსიო ფონდში დარეგისტრირებული მოქალაქეების რაოდენობა 959 548, ხოლო ორგანიზაციების რაოდენობა 61 165.

20 <http://gov.ge/program2018-2020/#p=20>

21 ერთი წლის განმავლობაში ქვეყნის საზღვრებში წარმოებული მთლიანი საბოლოო პროდუქციისა და მომსახურების საერთო ღირებულება

22 <https://pensions.ge/>

3. ფასიანი ქაღალდები

3.1. ფასიანი ქაღალდების ისტორია

ფასიანი ქაღალდები დღევანდელი ბიზნესურთიერთობების განუყოფელი და იმავე დროს დომინანტური ნაწილია.

დღესდღეობით ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა ინტენსიურად ხდება, ფინანსურ სფეროში ჩაუხედავი ადამიანისთვის ძნელი წარმოსადგენია, თუ რამხელა მოცულობისაა ფასიანი ქაღალდების მსოფლიო ბაზარი.

ფასიანი ქაღალდების გამოშვება და ვაჭრობა სათავეს ძველ რომში იღებს, რა თქმა უნდა, არა ისეთი ფორმით, როგორც მას დღეს ვიცნობთ. თანამედროვე კორპორაციების მსგავსი პირველი სააქციო საზოგადოება მე-15 საუკუნის იტალიაში ჩამოყალიბდა, რომელსაც „BancadiSanGeorgio“ ერქვა. ეს კომპანია დიდ ფინანსურ პრობლემებს განიცდიდა, მისმა ხელმძღვანელობამ მოიფიქრა აქციების, გამოშვების სახით (ანუ წილების გაყიდვით) საჭირო ფინანსების მოძიების სქემა.

1409 წელს ბელგიაში, ქალაქ ბრიუგეში პირველი ბირჟა დაარსდა, სადაც თავიდან მხოლოდ თამასუქებით²³ ვაჭრობა იყო შესაძლებელი. ფასიანი ქაღალდების და ბირჟების არსებობა აუცილებელი წინაპირობაა საბაზრო ეკონომიკის გამართულად ფუნქციონირებისათვის. ფინანსური კრიზისი ინვესტორებს ეკონომიკურ კრიზისს, ის არ რჩება მხოლოდ რომელიმე ქვეყნის დონეზე და მთელ მსოფლიოზე ვრცელდება. ყველაზე ცნობილი მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი იყო 1929 წელს ამერიკაში, რომელიც „შავი პარასკევის“ სახელითაა ცნობილი. ძალიან ხშირად ეს კრიზისი სახელდება იმ მთავარ მიზეზად, რამაც ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა მე-20 საუკუნის 30-იანი წლების უაღრესად გაღატაკებულ გერმანიაში ნაციონალ სოციალიზმის წარმოშობას და ჰიტლერის აღზევებას.

ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, გრძელვადიან პერსპექტივაში, საქართველოს კანონმდებლობა ფასიანი ქაღალდების სფეროში ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან უნდა იყოს ჰარმონიზებული. კონკრეტულად, ჰარმონიზებაში იგულისხმება ის, რომ თუ მაგ. ესპანელი ინვესტორი გადაწყვეტს საქართველოს საფონდო ბირჟაზე ოპერაციების განხორციელებას, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი ინვესტიცია ზუსტად იმ რეგულაციებზე იქნება დაქვემდებარებული, რაც ესპანეთში ან ევროკავშირის სხვა ქვეყანაში მოქმედებს.

უმთავრესი დირექტივა, რომელიც ევროკავშირში ფასიანი ქაღალდების ბაზარს არეგულირებს და იყო:

- 2004 წლის 21 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/39/EC დირექტივა **ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრების შესახებ**, ე.წ. MiFID – Markets in Financial Instruments Directive

„იყო“ იმიტომ, რომ იგი 2018 წლიდან ჩანაცვლდა ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრის ახალი დირექტივით 2014/65/EU, რომელსაც იგივე დასახელება აქვს და შემოკლებით MiFID II-ს

²³ პირის წერილობით უპირობო ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მის მფლობელს (კრედიტორს) უფლებას აძლევს მოსთხოვოს თამასუქზე ხელმოწერის მასში მითითებული თანხის ვადაში გადახდა.

(მეორე) უნოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ძველი დირექტივის შესრულებაზე ჰქონდა ვალდებულება აღებული, მოუწევს 2014/65/EU დირექტივის მიხედვით კანონმდებლობის დახვეწა.

ეს ცვლილება არ ნიშნავს იმას, თითქოს MiFID I-ის მიხედვით მოქმედი ყველა რეგულაცია გაუქმდა და თვისობრივად ახლით ჩანაცვლდა, რეალურად ახალი დირექტივით ძველი განივრცო, რის მიხედვითაც:

- ინვესტორი უფრო დაცულია, რადგან ფინანსური ბაზრების მოთამაშეები ვალდებულნი არიან მეტი ინფორმაცია მიაწოდონ და დეტალებში გაარკვიონ მომხმარებელი;
- უზრუნველყოფილია ფინანსური ბაზრის სტრუქტურის მეტი გამჭვირვალობა;
- ფინანსური ზედამხვედველობის სამსახურებს უფრო მეტი უფლებები აქვთ მინიჭებული, ვიდრე მათ ეს ადრე ჰქონდათ. გარკვეული ეჭვის შემთხვევაში, მათ უფლება ეძლევათ, საბირჟო ვაჭრობიდან მოხსნან რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტი, ან აიძულონ კომპანია, რომელმაც წესები დაარღვია, შეცვალოს მენეჯმენტი.
- გამკაცრდა მოთხოვნები კომპიუტერულად მართული მაღალი სიხშირის იმ საბირჟო ოპერაციაზე (high-frequency trading, შემოკლებით HFT), რომელიც უმოკლეს დროში შედარებით დიდი ბრუნვით გამოირჩევა. შესაბამისი პროგრამული ალგორითმები აუცილებლად უნდა იყოს რეგისტრირებული და უსაფრთხოების ზომებზე შემოწმებული;
- უფრო მკაცრად კონტროლდება გარკვეული სასურსათო პროდუქციით სპეკულაციური ვაჭრობა;
- საბირჟო ბროკერები ვალდებულნი არიან, დეტალური ანგარიშები წარადგინონ მათ მიერ განხორციელებულ ტრანსაქციებზე, კლიენტებთან სატელეფონო საუბრებიც კი უნდა ჩაინერონ და შეინახონ.

მთავარი მიზეზი ამ რეგულაციების ჩანაცვლებისა იყო 2008 წელს დაწყებული მსოფლიო ფინანსური კრიზისი, რომელმაც გამოააშკარავა, რომ ძველი დირექტივის რეგულაციები ახალ გამოწვევებს ვეღარ პასუხობდა.

ახალი დირექტივა,²⁴ დანართების ჩათვლით, დაახლოებით 7000 გვერდს მოიცავს და ის ყველაზე კომპლექსურია, რაც კი ევროკავშირს ოდესმე მიუღია.

როგორც ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, ისე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით²⁵ ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი პირის (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული) ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს:

- ფულად სახსრებს (ნაღდი და უნაღდო ფორმით);
- სესხებს (კრედიტებს);
- სხვა ვალდებულებებს;
- თამასუქებსა და ფასიან ქალაქებს, მათ შორის: კაპიტალში წილებს, აქციებს, ობლიგაციებს და ისეთ დერივატივებს, როგორებიცაა: ოფციონი, ფიუჩერსი, ფორვარდი და აშ. (დანვრილებით იხილეთ ქვემოთ);
- ფულადი გამოსახვის მქონე, კანონმდებლობით დაშვებულ ნებისმიერ შეთანხმებას, ორ სუბიექტს შორის.

24 <https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/ALL/?uri=CELEX%3A32014L0065>

25 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=160>

3.2. ფასიანი ქაღალდების სფეროში აღებული ვალდებულებების ანალიზი

2004 წლის 15 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/109/EC დირექტივა, რეგულირებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტებზე ინფორმაციის გამჭვირვალობის მოთხოვნათა ჰარმონიზაციის შესახებ, რომლითაც შესწორდა 2001/34/EC დირექტივა.

- **დაგეგმილი აქტივობა –**

- რეგულირებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტებზე ინფორმაციის გამჭვირვალობის მოთხოვნათა ჰარმონიზაციის შესახებ 2004 წლის 15 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/109/EC დირექტივასთან, რომლითაც შესწორდა 2001/34/EC დირექტივა და 2007 წლის 8 მარტის ევროკომისიის 2007/14/EC დირექტივასთან, რომელიც ადგენს 2004/109/EC დირექტივის ზოგიერთი დებულების იმპლემენტაციის დეტალურ ნებს, დაახლოების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებებისა და დამატებით კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება;

- **პასუხისმგებელი უწყება –**

- საქართველოს ეროვნული ბანკი;

- **შესრულება-**

- მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებებისა და დამატებით კანონქვემდებარე აქტების პროექტები;

- კანონპროექტი გაეგზავნა ბაზრის მონაწილეებს, რომელთაც წარმოადგინეს თავიანთი კომენტარები შემოთავაზებულ ცვლილებებზე, ასევე მოხდა კანონპროექტის განხილვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად. კანონპროექტისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტის პროექტის შემუშავების პროცესში ეროვნულ ბანკს მრჩეველის/ექსპერტის რანგში დახმარებას უწევდა ბელგიის ფინანსური სერვისებისა და ბაზრების საზედამხებველო ორგანოს (FSMA) წარმომადგენელი.

- **შენიშვნა:** იგეგმება ასოცირების შესახებ შეთანხმების XV-A დანართის ცვლილება. ევროკომისია გაგვიზიარებს ახალი დანართის პროექტს, რომლის გაანალიზების შემდეგაც შეიძლება განსხვავებულად ჩამოყალიბდეს ევროსაბჭოს რეგულაციებთან დაახლოების ვალდებულებები და მისი შესრულების ვადები.

2003 წლის 28 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/6/EC დირექტივა ინსაიდერული გარიგებებისა და ბაზარზე მანიპულაციების შესახებ (ინსაიდერული ინფორმაციის ბოროტად გამოყენება).

ინსაიდერული ინფორმაცია²⁶ (Inside – შიდა) ნიშნავს არასაჯარო, არსებით ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ერთ ან რამდენიმე ანგარიშვალდებულ სანარმოსთან ან მათ საჯარო ფასიან ქაღალდებთან, ხოლო ინსაიდერია პირი, რომელსაც ხელი მიუწვდება ასეთ არასაჯარო ინფორმაციაზე. ასეთი პირები შეიძლება იყვნენ: კომპანიის მენილეები, მმართველები, თანამშრომლები, აუდიტორები, იურისტები და ა.შ. კანონის თანახმად, ინსაიდერად ჩაითვლება ის პირიც, რომელმაც მიიღო ინსაიდერული ინფორმაცია და ჩანს, რომ ამ ინფორმაციის წყაროა ინსაიდერი.

ინსაიდერულ ინფორმაციად მიიჩნევა იმგვარი ინფორმაცია, რომელსაც თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა ნებისმიერი ინვესტორი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას. ინსაიდერული ინფორმაციის გამჟღავნების დაუშვებლობას საფუძვლად უდევს არგუმენტი, რომ ფასიანი ქაღალდების ყიდვისას გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა, რომელიც შეიძლება ფლობდეს ინსაიდერულ ინფორმაციას, არ მოიპოვოს არასამართლიანი უპირატესობა ბაზრის სხვა მონაწილეებთან შედარებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინსაიდერული ინფორმაციის მქონე პირი უნდა მოიქცეს იმგვარად, როგორც მოიქცეოდა იმ შემთხვევაში, თუ მას მსგავსი ინფორმაცია არ ექნებოდა.

26 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=33> საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ

აღნიშნული დირექტივით იქმნება ინსაიდერული სავაჭრო ოპერაციების, შიდა ინფორმაციის უკანონო გამჟღავნებისა და საბაზრო მანიპულაციების (ბაზრის წესების ბოროტად გამოყენების) საერთო მარეგულირებელი ჩარჩო დოკუმენტი, სადაც განისაზღვრება ღონისძიებები საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად,

ევროპის კავშირის ბაზრის ბოროტად გამოყენების შესახებ 2003 წლის 22 დეკემბრის 2003/124/EC დირექტივა განსაზღვრავს „ინსაიდერული ვაჭრობის“ მნიშვნელობას. ამ დირექტივის მიხედვით, ინსაიდერად მიჩნეულ პირს ეკრძალება:

- თავისთვის ან სხვისთვის იყიდოს ან გაყიდოს იმ კომპანიის საჯარო ფასიანი ქაღალდები, რომელზეც ინსაიდერულ ინფორმაციას ფლობს;
- მიაწოდოს მესამე პირს ინსაიდერული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს ქმედება გამონეუელია პროფესიული ან სამსახურებრივი მოვალეობით;
- საბაზრო აგენტისათვის ფასიანი ქაღალდების შეძენის შესახებ კონსულტაციის განევა იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მოპოვებულია შიდა წყაროებით;

ინსაიდერული ვაჭრობის წესების დარღვევის ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ შემთხვევად ითვლება ამერიკულ საინვესტიციო ფონდ „SAC CapitalAdvisors“-თან დაკავშირებული სკანდალი²⁷. 2013 წელს ამერიკის სასამართლომ ამ კომპანიას 1,8 მილიარდ დოლარიანი ჯარიმა დააკისრა, ხოლო რამდენიმე ტოპ მენეჯერი ციხეში ჩასვა.

2020 წელს საქართველოს პარლამენტში შეტანილია კანონპროექტები, რომელიც ეხება ინსაიდერულ საქმიანობას.²⁸ კერძოდ, ცვლილებები იგეგმება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს კანონებში.

ცვლილებების მიღება უზრუნველყოფს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტთა²⁹ და საჯარო წილობრივი ფასიანი ქაღალდების მფლობელთა საქმიანობის მეტ გამჭვირვალობას, დაარეგულირებს ბაზრის მანიპულაციისა და ინსაიდერულ ვაჭრობასთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს და შესაბამისობაში მოიყვანს საერთაშორისო პრაქტიკასთან. კანონი შექმნის ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის საჭირო მექანიზმებს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ბაზარზე გამჭვირვალობის დონის ზრდას, უზრუნველყოფს ინვესტორთა ნდობის ამაღლებასა და მათ დაცულობას.

განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტების განხილვა უნდა განხორციელდეს დაჩქარებული წესით. დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზია ვალდებულება, რომელიც საქართველოს მთავრობას გააჩნია როგორც „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“, ისე ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობისა და რეგულირების მიმართულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებებიდან გამომდინარე.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილებები, ძირითადად, ეხება კანონის VII თავს, რომელიც არეგულირებს ინსაიდერულ ვაჭრობას, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებასა და ბაზრის მანიპულაციას.

- ამ თავის მოქმედების სფერო გაზრდილია და ვრცელდება ყველა იმ ფასიან ქაღალდზე, რომელიც გამოშვებულია საჯარო შეთავაზების გზით;
- მოქმედება გავრცელდება სამთავრობო ფასიან ქაღალდებზე განხორციელებულ ნებისმიერ მანიპულაციასა და ინსაიდერულ ვაჭრობაზე;
- გაფართოებულია ემიტენტის ცნება. აღნიშნული თავის მოქმედება ვრცელდება ემიტენტზე, რომლის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები განთავსდა საჯარო შეთავაზების გზით ან დაშვებულია სავაჭროდ საქართველოში ლიცენზირებულ საფონდო ბირჟაზე;

27 <https://www.spiegel.de/wirtschaft/unternehmen/mathew-martoma-von-sac-capital-wegen-insiderhandel-verurteilt-a-990552.html>

28 <https://info.parliament.ge/#law-drafting/19609>

29 ემიტენტი – პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით უშვებს ფასიან ქაღალდებს

- მოქმედება გავრცელდება ნებისმიერ გარიგებაზე, სავაჭრო დავალებასა და ურთიერთობაზე, იმის მიუხედავად, ხორციელდება თუ არა იგი საფონდო ბირჟაზე, ან საქართველოს ტერიტორიაზე, რის მიხედვითაც ბაზრის მანიპულაცია და ინსაიდერული ვაჭრობა ან მათი მცდელობა ჩაითვლება დარღვევად ნებისმიერ ადგილას – როგორც საფონდო ბირჟაზე, ისე მის გარეთ და როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.

გარდა ამისა კანონს ემატება 45¹⁻⁶ (45¹, 45², 45³, 45⁴, 45⁵, 45⁶) პრიმა მუხლები, რომელთა მიხედვითაც:

- განისაზღვრება ქმედებები, რომლებიც ჩაითვლება ბაზრის მანიპულაციად ან მის მცდელობად;
- უფრო დაკონკრეტდება, თუ რას წარმოადგენს ინსაიდერული ინფორმაცია და რა არის მისი მახასიათებლები;
- განიმარტება ინსაიდერული ვაჭრობის არსი და ცალკეულ ქმედებათა ინსაიდერულ ვაჭრობად მიჩნევის კრიტერიუმები;
- დაზუსტდება ქმედებები, რომლებიც ჩაითვლება ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებად;
- ემიტენტების მიმართ დაწესდება ინსაიდერული ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნებასთან დაკავშირებული ვალდებულებები. გამომდინარე იქიდან, რომ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის მნიშვნელოვანია ყველა იმგვარი ინფორმაციის ქონა, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათი ფასიანი ქაღალდის ფასსა და ღირებულებაზე, ემიტენტი ვალდებულია, ამგვარი ინსაიდერული ინფორმაცია დაუყოვნებლივ გაამჟღავნოს საჯაროდ;
- დგინდება საინვესტიციო რეკომენდაციებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების წესი. ბაზრის ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ ინფორმაციის გამავრცელებელმა პირებმა ან უფლებამოსილმა ორგანოებმა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა მათ მიერ გავრცელებული ინფორმაცია არ აღმოჩნდეს ინვესტორთათვის შეცდომაში შემყვანი.

4. მიმოქცევად ფასიან ქალაქებში კოლექტიური ინვესტიციების განსახორციელებლად შექმნილი სანარმო (UCITS)

2009 წლის 13 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/65/EC დირექტივა მიმოქცევად ფასიან ქალაქებში კოლექტიური ინვესტიციების განსახორციელებლად შექმნილ სანარმოსთან (UCITS) მიმართებაში, კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების კოორდინაციის შესახებ.

- **დაგეგმილი აქტივობა –**

- მიმოქცევად ფასიან ქალაქებში კოლექტიური ინვესტიციების განსახორციელებლად შექმნილ სანარმოსთან (UCITS) მიმართებაში, კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების კოორდინაციის შესახებ 2009 წლის 13 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/65/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით კანონპროექტის შემუშავება.

- **პასუხისმგებელი უწყება –**

- საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

- **შესრულება –**


- მომზადებულია „ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული სანარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მიმდინარეობს კონსულტაციები მისი პარლამენტში ოფიციალურად წარსადგენად.

შენიშვნა: იგეგმება ასოცირების შესახებ შეთანხმების XV-A დანართის ცვლილება. ევროკომისია გაგვიზიარებს ახალი დანართის პროექტს. განსჯისა და მოლაპარაკებების შედეგად შეიძლება განსხვავებულად ჩამოყალიბდეს დაახლოების ვალდებულებები და მისი შესრულების ვადები.

მიმოქცევად ფასიან ქალაქებში კოლექტიური ინვესტიციების განსახორციელებლად შექმნილი სანარმო (UCITS -UndertakingsforCollectiveInvestmentofTransferableSecurities) არის საინვესტიციო ფონდი, რომელიც ევროკავშირის მასშტაბით საქმიანობის განსახორციელებლად. შესაბამის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილდეს.

საინვესტიციო ფონდები თანხებს მოიზიდავენ ინვესტორებისგან (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები), დააბანდებენ და, მოგების შემთხვევაში, დივიდენდებს გაანაწილებენ ინვესტორებზე.

ნახაზზე მოცემულია სქემა, თუ როგორ მოქმედებს სააქციო ფონდი.



UCITS-ფონდის შემთხვევაში ინვესტირება უნდა განხორციელდეს **მინიმუმ 15** სხვადასხვა კომპანიაში, ანუ ინვესტორებისგან მოზიდული კაპიტალის დაბანდება მოხდება, მაგ. კომპანია „გუგლის“, „მერსედესის“, „ეფლის“ და აშ. აქციებში. გაიზრდება ამ კომპანიების აქციათა ფასი, შესაბამისად, მოგებას მიიღებენ ინვესტორები, თუ აქციათა ფასი შემცირდა – ინვესტორები იზარალებენ. სხვა ფონდებისგან განსხვავებით, თუ UCITS-ფონდი გაკოტრდა, ქონება (რაც დარჩა, ან თუ საერთოდ დარჩა) პირველ რიგში ნაწილდება ინვესტორებზე და არა მევალეებზე. მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი კომპანიის გაკოტრების შემთხვევაში ქონება პირველ რიგში მევალეებზე ნაწილდება, შემდეგ კი, თუ რამ დარჩა – მენილეებზე.

ზოგადად, ფულის დაბანდება და ყოველი ბიზნესი გარკვეულ რისკებს შეიცავს. სხვებთან შედარებით. საინვესტიციო ფონდებს გააჩნიათ შემდეგი უპირატესობა:

- ერთ პიროვნებას მინიმალური თანხით (წესით 50 ევროდან / დოლარიდან) შეუძლია ინვესტირების განხორციელება, ანუ მე და ათასობით კიდევ სხვა ადამიანი საინვესტიციო ფონდში ვაბანდებთ საკუთარ სახსრებს, ფონდი კი თავის მხრივ კომპანია „გუგლის“ (ოფიციალური დასახელება „Alphabet“ და არა „გუგლი“) აქციებს ყიდულობს და აშ. (ცნობისათვის: ამჟამად – 17.02.2020 – „Alphabet“-ის ერთი აქციის ფასი 1518 აშშ დოლარია);

- შესაძლებელია დიდი ინვესტიციების განხორციელება, რაც თუნდაც ერთი მდიდარი ადამიანისთვისაც ძნელი იქნებოდა;
- რისკები გადანაწილებულია, რადგან სხვადასხვა კომპანიაში ხდება კაპიტალის დაბანდება;
- ფონდები კონტროლირდება სხვადასხვა ფინანსური ზედამხედველობის სამსახურისაგან;
- ფონდის მენეჯერები, როგორც წესი, გამოცდილი ინვესტორები და ფინანსისტები არიან. საინვესტიციო ფონდის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია „BerkshireHathaway“, რომელიც მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ადამიანთა ხუთეულში შემავალ ამერიკელს, უორენ ბაფეტს (WarrenBuffett) ეკუთვნის. „BerkshireHathaway“-ს უამრავი ინვესტორისაგან მოზიდული კაპიტალი 80 სხვადასხვა კომპანიაში აქვს დაბანდება. 2018 წლის მონაცემებით³⁰ კომპანიის წლიური ბრუნვა 247 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა და, რაც არ აუნდა დაუჯერებელი იყოს, მხოლოდ 25 თანამშრომელი ყავდა.

30 <https://www.berkshirehathaway.com/reports.html>

5. ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურა

5.1. ფინანსური ბაზრის მიმოხილვა

საქართველოს ფინანსური ბაზრებიდან ყველაზე განვითარებულია საბანკო სექტორი, შემდეგ სადაზღვევო სექტორი და ბოლოს – ფასიანი ქაღალდების ბირჟა, საინვესტიციო და კერძო საპენსიო ფონდები მოდიან.

საერთო ჯამში საქართველოს საფინანსო ბაზარი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ ასოცირების მოთხოვნების შესრულება, რომელიც მაღალგანვითარებული ბაზრებისთვის არის გათვლილი, საქართველოსთვის მარტივი პროცესი სულაც არ იქნება.

ფინანსური ბაზრების განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან. თუ სწრაფად გამდიდრებისკენ მიდრეკილ საფინანსო სპეკულაციების გამტარებლებს არ ჩავთვლით, ფინანსურ ბაზრებზე ორი ტიპის ადამიანები / კომპანიები ხვდებიან ერთმანეთს:

- ერთნი, რომლებიც დღეს ზოგავენ თანხებს მომავალში სარგებელის მიღების და გამოყენების მიზნით.
- მეორენი, რომლებიც დღეს საჭიროებენ თანხას ახალი ბიზნესისათვის თუ ძველის გასაგვითარებლად.

თუ ქვეყნის მოსახლეობას შეუძლია დანაზოგი გააკეთოს, ჩნდება იაფი ფული, რომლითაც სხვები სარგებლობენ და ბიზნესი ვითარდება.

ფინანსური ბაზრის ძირითადი სტრუქტურა:

- ფასიანი ქაღალდების და საფონდო ბაზრები – აქ ხდება ფასიანი ქაღალდების გამოშვება და ყიდვა-გაყიდვა;
- ობლიგაციების ბაზარი – ობლიგაციებით და სხვა ფინანსური ვალდებულებებით ვაჭრობა;
- სავალუტო ბაზარი – ვალუტის ბაზარზე მიმდინარეობს ვაჭრობა სხვადასხვა ქვეყნების ვალუტით;
- ფინანსური რისკების ბაზარი – ემსახურება ფინანსური რისკების მართვას;
- სადაზღვევო ბაზარი – ემსახურება ფინანსური რისკების დაზღვევასა და გადაზღვევას;
- სასაქონლო ბაზარი – ემსახურება მსხვილი საქონლის პარტიების ყიდვა-გაყიდვას;
- ნედლეულის ბაზარი – ემსახურება საწარმოო ნედლეულით ვაჭრობას;
- დერივატივების ბაზარი – ემსახურება ვაჭრობას.

ფინანსური ბაზრების ნაწილი იყოფა პირველად და მეორად კატეგორიებად. პირველად ბაზრებზე ხორციელდება კომპანიების მიერ ფასიანი ქაღალდების პირველადი გამოშვება – ემისია. მეორად ბაზრებზე კი ხდება უკვე გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა.

5.2. ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის სფეროში აღებული ვალდებულებების ანალიზი

2002 წლის 6 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/47/EC დირექტივა ფინანსური გირაოს შესახებ.

თანამედროვე ფინანსურ სისტემაში უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია რისკების შემცირებას და მათ მართვას. ფინანსური ბაზრების უსაფრთხო ფუნქციონირების მიზნით, ევროკავშირის ქვეყნებში ჩამოყალიბდა ერთიანი სტანდარტები, რომლის შემადგენელი ნაწილია დირექტივა ფინანსური გირაოს (გირავნობა) შესახებ.

ფინანსური გირაო³¹ ფინანსური ინსტრუმენტები (მაგ. აქციები და ობლიგაციები) ანგარიშზე რიცხული ფულადი სახსრებია, რომლებიც გამოყენებულია მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად. მარტივად რომ ვთქვით – ფინანსური გირაო თითქმის იგივეა, რაც ლომბარდი, სადაც დამგირავებელი (ვინც თანხას სესხულობს) მოგირავნეს (ვინც ფულს გასცემს) ნივთის მაგივრად ფასიან ქალაქებს გადასცემს სესხის უზრუნველყოფის მიზნით. ლომბარდისგან განსხვავებით, ფინანსური გირაოს დროს საკუთრების უფლება გადადის დამგირავებელიდან მოგირავნეზე.

2002/47/EC დირექტივის მიხედვით:

- ფორმალობების მოხსნის გზით ფინანსური გირაოს ხელშეკრულების დადება და აღსრულება ძალიან გამარტივებულია;
- შესაძლებელია დაგირავებული აქტივის მრავალჯერადი გამოყენება;
- ფინანსური გირაოს ხელშეკრულებები დაცულია გაკოტრების რეჟიმისგან;
- სამოქალაქო გირავნობისგან განსხვავებით ნაკლებია ადმინისტრაციული ხარჯები;

ევროკავშირში ფინანსური გირავნობის საგანს წარმოადგენს:

1. ფინანსური ინსტრუმენტები;
2. ფულადი სახსრები;
3. და საკრედიტო მოთხოვნები;

საქართველოში :

1. ადგილზე გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები;
2. ანგარიშზე რიცხული ფულადი სახსრები.

გარდა საქართველოს კანონისა „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“, რომელიც 2012 წლიდან მოქმედებს და დღემდე დაახლოებით ათჯერ განიცადა ცვლილება, 2019 წლის დეკემბერში პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“. ამ კანონის მიღება მნიშვნელოვან სამართლებრივ გარანტიებს შექმნის დერივატივების, ურთიერთგაქვითვის შეთანხმებისა და ფინანსური გირავნობის გამოყენების თვალსაზრისით. ასევე ქართულ ფინანსურ ინსტიტუტებს გაუმარტივდებათ და გაუიარაღებთ უცხოეთიდან ფინანსური რესურსების მოზიდვა და რისკების მართვა. აღნიშნული კანონი საქართველოს ეროვნულ ბანკს დაეხმარება რეზერვების მართვის პროცესში, ვინაიდან გაადვილდება ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობის ხელშეკრულებების დადება.

დერივატივები კომპლექსური ფინანსური ინსტრუმენტია და მისი გამოყენებით შესაძლებელია ფინანსური რესურსებისა და მასთან დაკავშირებული რისკების უკეთ მართვა. დერივატივების გამოყენება ხელს უწყობს შემოსავლის ზრდას და რისკების მართვას, თუმცა, არასწორი გამოყენების შემთხვევაში, თავად დერივატივებსაც აქვს ფინანსური რისკები, რის გამოც აუცილებელია შესაბამისი ცოდნის და რისკების მართვის სისტემების არსებობა. სწორედ ამიტომ, კანონის თანახმად, დერივატივების გამოყენების პირთა წრე შეზღუდულია მხოლოდ ბაზრის კვალიფიციური მონაწილეებით. ფიზიკური პირებისთვის დერივატივების ინსტრუმენტების შექმნა მხოლოდ იმ ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტების საშუალებითაა დაშვებული, რომელთაც ეროვნული ბანკი ზედამხედველობს და მათ

31 საქართველოს კანონი საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ

აქვთ ვალდებულება, ერთი მხრივ, სრულყოფილად აუხსნან მომხმარებელს პოტენციური რისკების შესახებ და, მეორე მხრივ, არ შესთავაზონ ისეთი პროდუქტები, რომელიც არ შეეფერება ამა თუ იმ კატეგორიის ინდივიდუალურ ინვესტორს.

მოკლედ რომ ვთქვათ, დერივატივების საშუალებით შესაძლებელია როგორც სწრაფად გამდიდრება, ასევე სწრაფად გაღარიბება, როგორც რისკებისგან თავის დაცვა, ისე ფინანსური სპეკულირება.

დერივატივი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, თვითონ მას ღირებულება არ გააჩნია და ეყრდნობა ბაზისურ აქტივებს, როგორცაა საბირჟო ინდექსები, ფასიანი ქაღალდები, ნავთობის ფასი, ვალუტის კურსი ან ნებისმიერი პროდუქტის თუ მომსახურების ფასი, რაზეც გარიგების მხარეები შეთანხმდებიან. საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი მაგალითი, როდესაც გარიგების მონაწილე მხარეებს სურთ თავი დაიცვან ფასების რყევებისაგან:

დავუშვათ ფერმერს, რომელსაც ხორბალი მოყავს,სავსებით აკმაყოფილებს ფასი, როდესაც მას შეუძლია ერთი ტონა ხორბალი 200 ლარად გაყიდოს, მეორე მხრივ, პურ-ფუნთუშეულის ქარხანაც კმაყოფილი იქნებოდა ამ ფასად ხორბლის შესყიდვით. ფერმერი და ქარხანა იანვარში დებენ ხელშეკრულებას, რომ მოსავლის აღებისას, ივნისში, ფერმერი მიაწვდის და ქარხანა იყიდის ერთ ტონა ხორბალს 200 ლარად. დიდი ალბათობით ივნისისთვის ბაზარზე ერთი ტონა ხორბლის ფასი 200 ლარი არ იქნება, რადგან საბაზრო ფასებზე მოთხოვნა-მიწოდების გარდა, კიდევ სხვა ფაქტორები მოქმედებენ, რომელზეც ერთ ფერმერს და ერთ ქარხანას ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ. განვიხილოთ ვინ მოიგებს ან იზარალებს ფასის ცვლილებისას ივნისში:


1. ერთი ტონა ხორბლის საბაზრო ფასი 140 ლარია:
 - a. ფერმერი მოიგებდა 60 ლარს, რადგან 140 ლარიან პროდუქტს 200 ლარად გაყიდიდა;
 - b. ქარხანა იზარალებდა 60 ლარს, რადგან 140 ლარიან პროდუქტს 200 ლარად იყიდიდა;
2. ერთი ტონა ხორბლის საბაზრო ფასი 230 ლარია:
 - a. ფერმერი იზარალებდა 30 ლარს, რადგან 230 ლარიან პროდუქტს 200 ლარად გაყიდიდა;
 - b. ხოლო ქარხანა მოიგებდა 30 ლარს, რადგან 230 ლარიან პროდუქტს 200 ლარად იყიდიდა;

ამ მაგალითს შეიძლება მეორე მხრიდან შევხედოთ და ვთქვათ, რომ ან ერთ ან მეორე მხარეს ფასის რყევების რისკებისგან თავის დაცვა კი არ ქონდა განზრახული, არამედ ფერმერი ვარაუდობდა (ფინანსურ ტერმინოლოგიაში სპეკულირება), რომ ხორბლის ფასი შემცირდებოდა, ხოლო ქარხანა ფასის ზრდაზე სპეკულირებდა, ორივენი ამ გარიგებით მოგების მიღებას იმედოვნებდა. როგორც ვხედავთ, დერივატებით ვაჭრობისას ორივე მხარე მოგებულ იარაღს არ რჩება. ეს ის ბიზნესგარიგება არ არის, როცა ერთი მხარე მიღებული პროდუქტის ხარისხითაა კმაყოფილი მეორე კი – გადახდილი ფასით.

დღესდღეობით მსოფლიოში მილიონზე მეტი დერივატივი არსებობს, მისი ერთ-ერთი სახეობაა ოფციონები. ოფციონი ვადიანი კონტრაქტია, რომლის დროსაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას გაყიდოს/შეისყიდოს, ხოლო მეორე მხარეს უფლება აქვს – გაყიდოს/შეისყიდოს ბაზისური აქტივების განსაზღვრული რაოდენობა დადგენილ ვადაში, ფიქსირებულ ფასად. **აქ ერთი მხარე ვალდებულია, მეორეს უფლება აქვს.** საერთაშორისო პრაქტიკაში განასხვავებენ ორი ტიპის ოფციონს: „ოფციონს ყიდვაზე“ (CallOptions) და „ოფციონს გაყიდვაზე“ (PutOptions).

ჩვენი ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ერთ-ერთი აუცილებლად ვალდებულებას აიღებდა, რომ ხორბალი ეყიდა/გაეყიდა ერთი ტონა 200 ლარად, ხოლო მეორეს უფლება ექნებოდა ეყიდა ან არ ეყიდა, იმისდა მიხედვით აწყობდა თუ არ აწყობდა ფასი. ხელშეკრულების დადებისას, ვინც ვალდებულებას კისრულობს მეორე მხარისგან (ვისაც უფლება აქვს) გარკვეულ საკომისიოს/პრემიას იღებს ნინასწარ.

მაგალითად, ფერმერი იანვარში ვალდებულებას იღებს, რომ ივნისში ქარხანას 1000 ტონა ხორბალს 200 000 ლარად მიაწვდის. აქ გვაქვს „1000 ცალი გარიგება“ და რადგან ფერმერმა ვალდებულება აიღო, დღეს იგი ქარხნისგან მიიღებს 5000 ლარს, ანუ ერთ გარიგებაზე 5 ლარიან საკომისიოს.



თუ მხარეები წინასწარ მოილაპარაკებენ, აუცილებელი არ არის, რომ გამყიდველმა მყიდველს პროდუქტი მიანოდოს. გამყიდველი მყიდველს მხოლოდ აქტუალურ ფასსა და შეთანხმებულ ფასს შორის სხვაობას აუნაზღაურებს.

დავუშვათ, ჩვენი მაგალითიდან ფერმერი ვალდებულია გაყიდოს (Short-Call), ხოლო ქარხანას უფლება აქვს იყიდოს (Long-Call). ფასის 230 ლარამდე გაზრდის შემთხვევაში, ქარხანა ერთი ტონა ხორბლის 200 ლარად რეალურად ყიდვას თუ გადაიფიქრებს (რადგან მას ამის უფლება აქვს), მაშინ ფერმერი ქარხანას მისცემს სხვაობას 30 000 (1000 * 30) ლარს (რადგან იგი ვალდებულია). ხოლო თუ ფასი 140 ლარამდე შემცირდება, რა თქმა უნდა, ქარხანა იაფიანს ძვირად აღარ იყიდის და გარეგების განხორციელებაზე უარს იტყვის. ამ დროს მისი დანაკარგი მხოლოდ კონტრაქტის დადებისას გადახდილი საფასური – 5 000 ლარია (1000 * 5), რაც იმავე დროს ფერმერის მოგებაა.

დერივატივებით ვაჭრობა შესაძლებელია როგორც საფონდო ბირჟებზე, ისე ბირჟებს გარეთ, ფონდების, ბანკების და შესაბამისი ვებგვერდების საშუალებით. ფორვარდები და ფიუჩერები ოფციონებთან ერთად ასევე დერივატივების ძალიან გავრცელებული სახეებია:

- **ფიუჩერსი** – ვადიანი **საბირჟო** კონტრაქტია, რომლის ერთი მხარე იღებს ვალდებულებას შეისყიდოს, ხოლო მეორე – გაყიდოს ბაზისური აქტივების განსაზღვრული რაოდენობა დადგენილ ვადაში, ფიქსირებულ ფასად. **ორივე მხარე ვალდებულია.**
- **ფორვარდი** – ვადიანი **არასაბირჟო** კონტრაქტი, რომლის ერთი მხარე იღებს ვალდებულებას შეისყიდოს, ხოლო მეორე – გაყიდოს ბაზისური აქტივების განსაზღვრული რაოდენობა დადგენილ ვადაში, ფიქსირებულ ფასად. **ორივე მხარე ვალდებულია.**

დერივატივებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ფინანსური გირავნობის საკითხი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ფინანსური გირავნობა საფინანსო სექტორში რისკების შემცირებას ემსახურება და ფინანსური სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ამ სფეროში საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიც შეასრულა და ქართული კანონმდებლობა ევროკავშირის შესაბამისი გახადა. ფინანსური გირავნობა დერივატივების ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული რისკების მართვის არსებითი ინსტრუმენტია. კანონის კიდევ ერთი ქვაკუთხედი ურთიერთგაქვითვა (ნეტინგი). ნეტინგის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად ამცირებს კაპიტალის მოთხოვნებს და, შესაბამისად, აიაფებს ფინანსურ ტრანზაქციებს. ნეტინგის შესაძლებლობა და მისი დაცულობის კანონით უზრუნველყოფა, იმედი, ბევრი უცხოური საფინანსო ინსტიტუტისათვის საქართველოში საქმიანობის აუცილებელი წინაპირობა იქნება.

6. საბადახადო მომსახურება

2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 924/2009/EC რეგულაცია გაერთიანების ფარგლებში ტრანს-სასაზღვრო გადახდების შესახებ.

• დაგეგმილი აქტივობა –

- ტრანსსასაზღვრო გადახდების შესახებ 2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 924/2009 რეგულაციასთან დაახლოების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანსსასაზღვრო გადახდებზე საკომისიოს შესახებ დირექტივით გათვალისწინებული ჩარჩოს დანერგვის აუცილებლობის განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავება;
- შესრულების შედეგი – ტრანსსასაზღვრო გადახდებზე საკომისიოს შესახებ ჩარჩოს დანერგვის განსაზღვრის მიზნით ჩატარებული ანალიზი/კვლევა (შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი)
- შესრულების ინდიკატორი – ტრანსსასაზღვრო გადახდებზე საკომისიოს შესახებ ჩარჩოს დანერგვის განსაზღვრის მიზნით ჩატარებული ანალიზი/კვლევა (საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი)

• პასუხისმგებელი უწყება –

- საქართველოს ეროვნული ბანკი.
- **კომენტარი** – გასათვალისწინებელია, რომ იგეგმება ასოცირების შესახებ შეთანხმების XV-A დანართის ცვლილება. 2018 წლის დეკემბერში ევროკომისია გაგვიზიარებს ახალი დანართის პროექტს. გარკვეული განსჯისა და მოლაპარაკებების შემდეგაც დაახლოების ვალდებულებები და მისი შესრულების ვადები განსხვავებულად შეიძლება ჩამოყალიბდეს.

სანამ ეს რეგულაცია შევიდოდა ძალაში ევროკავშირის ქვეყნებს შორის ნებისმიერი საბანკო გადარიცხვა მიიჩნეოდა არა შიდა, არამედ უცხოეთში გადარიცხვად და, შესაბამისად, ტარიფი ძალიან მაღალი იყო. ამჟამად ევროკავშირის ქვეყნებში შემდეგი წესები მოქმედებს³²:

- 50 000 ევრომდე გადარიცხვისას მოქმედებს ერთიანი ტარიფი, არა აქვს მნიშვნელობა, ერთი ქვეყნის შიგნით გადარიცხვაა თუ ორ ქვეყანას შორის. მაგ. საფრანგეთიდან საფრანგეთში ირიცხება თანხა თუ საფრანგეთიდან საბერძნეთში;
- ერთი და იგივე საკომისიო ბანკომატიდან ან საბანკო ბარათიდან თანხის განაღდებისას თუ გადახდისას (VISA, MasterCard) და ა.შ.

რეგულაცია 924/2009/EC დაკორექტირდა ე.წ. SEPA-რეგულაციით (SingleEuroPaymentsArea), რითაც მნიშვნელოვნად გამარტივდა ევროკავშირის ქვეყნებს შორის როგორც გადარიცხვები, ისე უნაღდო ანგარიშსწორება.

32 <https://www.europeanpaymentscouncil.eu/about-sepa>

ევროს ერთიანი გადახდის ზონაში (SEPA) ამჟამად 36 ქვეყანაა გაერთიანებული, არაევროკავშირის ქვეყნებიც. მაგ: შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტეინი და აშ. საქართველო ჯერჯერობით არ არის წევრი.

ზემოთ ნახსენებმა შეღავათებმა რომ იმოქმედოს, საჭიროა რამდენიმე წინაპირობის დაკმაყოფილება:

- როგორც გადამრიცხავს, ისე თანხის მიმღებს საბანკო ანგარიში ევროკავშირის ან ევროპის ეკონომიკურ ზონის ქვეყნებში³³ უნდა ჰქონდეს;
- გადარიცხვები უნდა განხორციელდეს ევროში და არ აღემატებოდეს 50 000.

³³ ევროპის ეკონომიკური ზონა (EEA) შედგება ევროკავშირისა (EU) და თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციისგან (EFTA).

7. ფულის გათეთრების სანინააღმდეგო ემედებები

საქართველოს აქვს აღებული ვალდებულება, უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისობა ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF)³⁴ რეკომენდაციებთან (შემდგომ – FATF-ის რეკომენდაციები). ამ ვალდებულების შესრულებას მონიტორინგს უწევს ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი (MONEYVAL), რომლის საშემფასებლო მისია საქართველოს 2019 წელს ეწვია.

1990 წელს FATF-ის მიერ შემუშავებულ იქნა 40 რეკომენდაცია, რომელიც კომპლექსური სამართლებრივი და ფინანსური ღონისძიებების გატარების გზით მიზნად ისახავდა ეროვნულ დონეზე ფულის გათეთრების პროცესის აღკვეთის ხელშეწყობას. აღნიშნული რეკომენდაციები იქცა საერთაშორისო სტანდარტებად ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. 2001 წელს FATF-ის მიერ დამატებით შემუშავებულ იქნა რვა სპეციალური რეკომენდაცია ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რასაც მოგვიანებით, 2004 წლის ოქტომბერში, მოჰყვა მეცხრე სპეციალური რეკომენდაციის მიღება. ხოლო, 2012 წლის თებერვალში არსებითი გადასინჯვის შედეგად, FATF-ის მიერ არსებული 40+9 რეკომენდაციის ნაცვლად მიღებული იქნა აღნიშნული რეკომენდაციების განახლებული ტექსტი 40 რეკომენდაციის სახით.

7.1. ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში აღებული ვალდებულებების ანალიზი.

2005 წლის 26 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/60/EC დირექტივა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიზნებისთვის ფინანსური სისტემის გამოყენების აღკვეთის თაობაზე.

2006 წლის 1 აგვისტოს ევროკომისიის დირექტივით-2006/70/EC განისაზღვრა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/60/EC დირექტივის აღსრულებისათვის საჭირო ზომები. დირექტივა განსაზღვრავს პოლიტიკურად აქტიურ პირს და მის იდენტიფიკაციასა და ვერიფიკაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, ფინანსური საქმიანობის მოცულობიდან გამომდინარე თავისებურებებს. (კლიენტის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია არ არის სავალდებულო, როდესაც ფინანსური საქმიანობა ხორციელდება ძალიან შეზღუდული ფორმით)

34 ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი (FATF) – ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი (Financial Action Task Force on Money Laundering) შეიქმნა 1989 წელს პარიზში დიდი შვიდეულის წევრი სახელმწიფოების და მთავრობების მეთაურთა სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებით. FATF-ის მიზანია, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ღონისძიებების განვითარება და მხარდაჭერა, ფულის გათეთრების წინააღმდეგ საერთო პოლიტიკის წარმართვა.

დაგეგმილი აქტივობები:

- ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF), ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (Moneyval) კომიტეტის რეკომენდაციების, ევროპის საბჭოს კონვენციის „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ შესაბამისი რეგულაციების შემუშავება;
- მონიტორინგის განმახორციელებელი პირების და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელთა ცოდნის ამაღლება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესასრულებლად.

პასუხისმგებელი უწყება –

- სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური.

შესრულება –

- უზრუნველყოფილია საქართველოს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგო კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის მეოთხე დირექტივასთან და FATF-ისა და MONEYVAL-ის რეკომენდაციებთან;
- გაუმჯობესებულია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების შესაძლო ფაქტების იდენტიფიცირების არსებული პრაქტიკა;
- სსიპ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მომზადებული და დამტკიცებული შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
- ჩატარებულია ტრენინგების და სემინარების შესაბამისი რაოდენობა.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 დეკემბერს #352 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებული და მისი შესრულების კოორდინაციის უწყებათშორისი საბჭო და დამტკიცდა საბჭოს დებულება. უწყებათაშორისი საბჭოს მიზნად განისაზღვრა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციისათვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი შესრულების კოორდინაცია 2014-2017 წლებისათვის. აღნიშნული საბჭოს საქმიანობის შედეგად საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის #236 დადგენილებით დამტკიცდა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სტრატეგიის მიზანია საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შემდგომი იმპლემენტაცია და მათ საფუძველზე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის ეროვნული სისტემის სრულყოფა³⁵.

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ფულის გათეთრების წინააღმდეგო დირექტივებთან;
- დანაშაულის შედეგად მიღებული ქონების გაყინვისა და ჩამორთმევის შესახებ მიღებულ განწყვეტილებათა რაოდენობისა და სავარაუდო ღირებულების მონიტორინგი და ანგარიშგება.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის საკითხებზე საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ბაზის განვითარებაზე ზრუნვა ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოების გზით;
- ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციით გათვალისწინებული სტანდარტების დანერგვის პროცესის გაგრძელება;

35 https://www.fms.gov.ge/Uploads/files/angariSi_2013.pdf

- ქონების ჩამორთმევის, აღდგენისა და განკარგვის საკითხებზე ოპერატიული თანამშრომლობის გაუმჯობესება საქართველოს შესაბამის ორგანოებსა და ევროკავშირის ქონების აღდგენის სამსახურს შორის ეფექტიანი კომუნიკაციისა და საუკეთესო გამოცდილების გაცვლის გზით.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის განხორციელების სამოქმედო გეგმა ისახავს **5 მიზანს**.

1. სამოქმედო გეგმის **პირველი მიზანია** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა **რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე**. ამ მიზნის მისაღწევად სამოქმედო გეგმა მოიცავს:
 - a. უკანონო შემოსავლის და ტერორიზმის დაფინანსების მხრივ საქართველოში არსებული ზოგადი, სექტორული და თემატური რისკების გამოვლენას და შეფასებას ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრას;
 - b. დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები არიან:
 - ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებული და მისი შესრულების კოორდინაციის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭო.
 - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
 - საქართველოს მთავარი პროკურატურა;
 - „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საზედამხედველო ორგანოები.
2. სამოქმედო გეგმის მიხედვით **მეორე მიზანია** საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების კუთხით. ამ მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:
 - a. გაფართოვდა მონიტორინგის განმახორციელებელი წრე, რომლის მიხედვითაც საგადახდო მომსახურების (მათ შორის, ელექტრონული ფულის) პროვაიდერები მონიტორინგის განმახორციელებელი პირები გახდებიან;
 - b. შემუშავდა მონიტორინგის განმახორციელებელ პირთა მიერ კლიენტის (ბენეფიციარი მესაკუთრის) იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესები;
 - c. იმ ნორმების შემდგომი სრულყოფა, რომლებიც უკავშირდება:
 - პოლიტიკურად აქტიურ პირებს;
 - ინფორმაციის დაცვასა და გაცემას;
 - უჩვეულო გარიგებას;
 - ფიქტიურ ბანკებს.
 - d. საქართველოს საბაჟო საზღვარზე ნაღდი ფულის, ჩეკების და სხვა ფასიანი ქაღალდების შემოტანის/გატანის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა;
 - e. არასამეწარმეო იურიდიული პირების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა;
 - f. ძვირფას ქვებთან, ძვირფას ლითონებსა და მათ ნაწარმთან, აგრეთვე, ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა;
 - g. ცვლილებების მომზადება, რაც უკავშირდება უჩვეულო გარიგებას და გარიგების შემადგენელ ნაწილს (მათ შორის, ოპერაციათა სქემას), რომელსაც არა აქვს ამკარად გამოხატული ეკონომიკური შინაარსი ან კანონიერი მიზანი;
 - h. „ჩეკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების მომზადება, რაც გააუქმებს ინსტრუმენტს – „ჩეკი წარმოდგენზე“;
 - i. დაიხვეწა საქართველოს საბაჟო საზღვარზე ნაღდი ფულის, ჩეკების და სხვა ფასიანი ქაღალდების შემოტანის/გატანის მარეგულირებელი კანონმდებლობა.

3. სამოქმედო გეგმის მიხედვით **მესამე მიზანია** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისა და ეფექტიანი გამოძიებისათვის სახელმწიფო უწყებების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესების ხელშეწყობა. ამ მიზნის მისაღწევად 2014-2018 წლებში ინტენსიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა ფინანსური მონიტორინგის სამსახურსა და საზედამხედველო ორგანოებს შორის, კერძოდ:
 - a. საქართველოს ეროვნულ ბანკთან;
 - b. საქართველოს იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებთან;
 - c. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციასთან;
 - d. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან.

თანამშრომლობა მიზნად ისახავდა მონიტორინგის განმახორციელებელი პირების შემომხმების პროცესის მომზადებას, ინსპექტირების შედეგების გაცნობას საზედამხედველო ორგანოებისათვის და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის უზრუნველყოფას.

4. **მეოთხე მიზანი** ითვალისწინებს მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავებას, მათი ცოდნის ამაღლებას და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას. მიზნის მისაღწევად გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:
 - a. საექვო და უჩვეულო გარიგებების გამოვლენის მიზნით, ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით განისაზღვრა შესაბამისი ინდიკატორები;
 - b. შემუშავდა საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული ფინანსური ინსტიტუტებისთვის განკუთვნილი მეთოდური სახელმძღვანელო დისტანციური ფინანსური პროდუქტების გამოყენებისა და კლიენტის პროფილის შექმნის თაობაზე;
 - c. მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს ჩაუტარდათ ტრენინგები
5. **მეხუთე მიზნის** მისაღწევად განისაზღვრა ერთი ამოცანა. კერძოდ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მომუშავე უწყებების მოქმედ თანამშრომელთა ურთიერთობა უცხო ქვეყნების ანალოგიურ უწყებებთან და მათ შორის ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესება;
 - a. საქართველოს – ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის, ეროვნული ბანკის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს მიერ გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები უცხო ქვეყნების შესაბამის უწყებებთან.

8. ფინანსური მომსახურება

2002 წლის 23 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/65/EC დირექტივა მომხმარებლის ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის შესახებ.

- **დაგეგმილი აქტივობა 1** – 2002 წლის 23 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს მომხმარებლის ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის შესახებ N2002/65/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით შესაბამისი ნორმატიული აქტის/აქტების პროექტის/პროექტების მომზადება;
- **დაგეგმილი აქტივობა 2** – 1993 წლის 5 აპრილის საბჭოს მომხმარებელთა კონტრაქტებში არასამართლიანი პირობების შესახებ N93/13/EEC დირექტივასთან დაახლოების მიზნით შესაბამისი ნორმატიული აქტის/აქტების პროექტის/პროექტების მომზადება;
- **შესრულება 1** – ნორმატიული აქტი შემუშავებულია და ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულია ან მთავრობაში/პარლამენტში წარდგენილია (საკანონმდებლო ცვლილების საჭიროების შემთხვევაში);
- **შესრულება 2** – ნორმატიული აქტი შემუშავებულია და ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულია ან მთავრობაში/პარლამენტში წარდგენილია (საკანონმდებლო ცვლილების საჭიროების შემთხვევაში);
- **შესრულების ინდიკატორი 1** – მომზადებული და მთავრობაში/პარლამენტში წარდგენილი ნორმატიული აქტის პროექტი;
- **შესრულების ინდიკატორი 2** – მომზადებული და მთავრობაში/პარლამენტში წარდგენილი ნორმატიული აქტის პროექტი;
- **პასუხისმგებელი უწყება** – საქართველოს ეროვნული ბანკი;
- კომენტარი – აქტივობა წარმოადგენს დაახლოების მიზნით კანონმდებლობის ცვლილებებს, შესაბამისად გულისხმობს მხოლოდ ადმინისტრაციულ ხარჯებს საქართველოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტიდან.

ფინანსური მომსახურების მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, ცვლილებები შევიდა „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში“ და ამოქმედდა 2018 წლის 14 მაისიდან³⁶. ცვლილებების თანახმად:

- სასესხო და სადეპოზიტო პროდუქტების შეთავაზებისას (პირადად, მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ინტერნეტბანკით, ბანკომატით და ა. შ.) ბანკი ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია შეთავაზებული პროდუქტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ;
- მაგ. თქვენ მიიღეთ სარეკლამო სმს, რომ დაგიმტკიცდათ ავტოსესხი, სავალდებულოა მითითებული იყოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.
- განისაზღვრა ბანკსა და მომხმარებელს შორის დისტანციურად ხელშეკრულებების დადების წესი, რაც გულისხმობს შეთავაზებული პირობების წინასწარ მინოდებას და ამ ინფორმაციის შემდგომ ხელმისაწვდომობას;
- განისაზღვრა მომხმარებელთან ზეპირი კომუნიკაციის სტანდარტები;

36 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4141653?publication=0>

- პროცენტის დაანგარიშებისას გამოყენებული უნდა იყოს ყოველდღიური დარიცხვის პრინციპი;
- დამტკიცდა ხელშეკრულების ფორმები, სადაც შინაარსი ცხადად და გასაგებად უნდა იყოს ფორმულირებული.

2002 წლის 23 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს მომხმარებლის ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის შესახებ N2002/65/EC და 2008 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებების შესახებ N2008/48/EC დირექტივებთან დაახლოების მიზნით მიღებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N151/04 ბრძანება „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განწესებას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“, სადაც ნაწილობრივ არის ასახული დირექტივით გათვალისწინებული მოთხოვნები, სხვა დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს მუშაობა, დასრულებულია შესაბამისობის ანალიზი და მუშავდება ნორმატიული აქტის სამუშაო ვერსია.

9. სამომხმარებლო კრედიტი

2008 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/48/EC დირექტივა მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებების შესახებ

- **დაგეგმილი აქტივობა –**
 - 2008 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებების შესახებ N2008/48/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტების მომზადება;
- **შესრულება –**
 - ნორმატიული აქტი შემუშავებულია და ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულია ან მთავრობა-ში/პარლამენტში წარდგენილია (საკანონმდებლო ცვლილების საჭიროების შემთხვევაში);
- **პასუხისმგებელი უწყება –**
 - საქართველოს ეროვნული ბანკი;
 - კომენტარი – აქტივობა წარმოადგენს დაახლოების მიზნით კანონმდებლობის ცვლილებებს, შესაბამისად გულისხმობს მხოლოდ ადმინისტრაციულ ხარჯებს საქართველოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტიდან.

ევროკავშირის ქვეყნებში ეს დირექტივა არეგულირებს საფინანსო ინსტიტუტებსა და მომხმარებლებს შორის ისეთ სამომხმარებლო კრედიტების კონტრაქტებს, რომელთა მოცულობა 75 000 ევროს არ აღემატება. იპოთეკური სესხებისთვის ცალკე რეგულაციები არსებობს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი 2008/48/EC დირექტივიდან³⁷:

- თუ ბანკი სარეკლამო კამპანიის მეშვეობით მომხმარებელს კრედიტზე წლიურ 5 პროცენტს სთავაზობს, ამ რეკლამით მოზიდული კლიენტების მინიმუმ 2/3-ს მართლაც 5 პროცენტად უნდა მისცეს სესხი, ანუ აკრძალულია დაბალი საპროცენტო განაკვეთის შეთავაზებით კლიენტების მოზიდვა და საბოლოოდ საკრედიტო კონტრაქტის უფრო ძვირად გაფორმება;
- კონტრაქტში მითითებული უნდა იყოს ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, სესხის ძირი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და ყველანაირი სავარაუდო ხარჯი, რომელიც შეიძლება დადგეს ხელშეკრულების მიმდინარეობის თუ დროზე ადრე შეწყვეტისას.
- ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებელს უნდა გადაეცეს ისეთი სახის საინფორმაციო ბროშურა, რომელსაც მარტივად გამოიყენებს სხვა ბანკების მიერ ანალოგიური შემოთავაზების შესადარებლად;
- ხელშეკრულების გაუქმება შეიძლება მხოლოდ მისი დადებიდან 6 თვის შემდეგ;
- ხელშეკრულების დადება ონლაინაც არის შესაძლებელი;
- წინსწრებით გადახდის პირგასამტეხლო მხოლოდ 1 პროცენტს შეადგენს, ხოლო თუ სესხის ხანგრძლივობა 12 თვეს არ აღემატება, მაშინ – 0,5 პროცენტს.

37 <https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/ALL/?uri=CELEX%3A32008L0048>

საქართველოში 2017 წლის 1-ლი ივნისიდან ძალაში შევიდა ეროვნული ბანკის ახალი „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განწესის მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი“, რომელმაც მანამდე მოქმედი წესი ჩაანაცვლა. ნახაზზე მოცემულია ფინანსური სერვისების განხორციელებისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის რამდენიმე ახალი წესი, რომელიც შედარებულია ძველ წესებთან³⁸:

ნახაზი # 6 – ფინანსური სერვისების განხორციელებისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის ახალი წესები

N	საკითხი	ძველი წესით	ახალი წესით
1	წესებს დაქვემდებარებული ორგანიზაციები	ბანკები	ყველა ფინანსური ორგანიზაცია
2	მომხმარებლების არეალი, რომელზეც ვრცელდება ფინანსური ორგანიზაციების ვალდებულებები	ფიზიკური პირები	როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები
3	ხელშეკრულების თანხობრივი ზღვარი, როცა ორგანიზაციას ეკისრება ვალდებულება ხელშეკრულებაში მიუთითოს ესა თუ ის სავალდებულო ინფორმაცია, გააფორმოს ხელშეკრულების თავსართი, გაუმჟღავნოს მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკები	300-50 000 ლარი	300-200 000 ლარი
4	მომხმარებლისათვის შეთავაზებებისა და სარეკლამო მასალებში ინფორმაციის მიწოდების სტანდარტების დაწესება	არ იყო	არის
5	დისტანციური შეთავაზებებისას პირობების დისტანციურად გაცნობა-შეთანხმების და შეთანხმებული პირობების მომხმარებლებზე მიწოდების წესი	არ იყო	არის
6	მომხმარებლისათვის საკუთარ საფინანსო პროდუქტებზე მინიმუმ 1 დისტანციური არხით (არსებობისას) ინფორმაციის უფასოდ მიღების შესაძლებლობა	არ იყო	არის
7	ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების შეტანისას ინფორმაციის მხოლოდ საჯარო შეთავაზებებით გავრცელების შეზღუდვა და ორგანიზაციის მხრიდან მინიმუმ 1 უფასო პერსონალური შეტყობინების არხის შეთავაზების ვალდებულება	არ იყო	არის
8	ხელშეკრულების ნიმუშის მიწოდების ვალდებულება მომხმარებლისთვის, თანამსესხებლისათვის, თავდებისა და დატვირთული უზრუნველყოფის მესაკუთრისათვის მოთხოვნის შემთხვევაში.	არ იყო	არის
9	კრედიტზე ვადაგადაცილების, დავალიანების წარმოშობის, ლიმიტის შეჩერებისას მსესხებლის, თანამსესხებლის, თავდების 5-დღიან ვადაში შეტყობინების გაგზავნის ვალდებულება	არ იყო	არის
10	არააქტიური პროდუქტების ცნების შემოღება და მათზე საკომისიოს დარიცხვის შეწყვეტის წესი	არ იყო	არის

38 <https://www.nbg.gov.ge/cp/index.php?m=612>

N	საკითხი	ქველი წესით	ახალი წესით
11	კრედიტის წინსწრებით დაფარვის პირგასამტეხლოს განაკვეთები	იყო მაქსიმუმ ნარჩენი ძირის 2%	განაკვეთები განისაზღვრა 0-2%-მდე, ვადის და წინსწრების მიზნების გათვალისწინებით
12	კრედიტის წინსწრებით დაფარვის წესები	არ იყო	სესხის სანყისი თანხის 20%-ის წინსწრებით დაფარვისას კრედიტორი ვალდებულია მსესხებელს შესთავაზოს ახალი გრაფიკი

2008/48/EC დირექტივა მოითხოვს აგრეთვე სესხის გამცემმა შეაფასოს მსესხებლის გადამხდელუნარიანობა. 2018 წელს გამკაცრდა კრედიტის გაცემის პირობები. შეიზღუდა მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. წინასწარ მსესხებლის გადახდისუნარიანობის დეტალურად გაანალიზების გარეშე გასესხებული ფული საზედამხედველო კაპიტალის³⁹ 25%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

უნდა ითქვას, რომ ამ რეგულაციებმა ბაზრიდან განდევნა შედარებით მცირე მოთამაშეები, მაგ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და დატოვა ბანკები, რომლებიც სხვებთან შედარებით კარგად არიან კაპიტალიზებული.

³⁹ საზედამხედველო კაპიტალი არის კაპიტალის სახეობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის, მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების/ზარალის განეიტრალებისა და სხვადასხვა რისკის თავიდან აცილებისათვის.

10. დასკვნა

ევროკავშირის კანონმდებლობა საფინანსო სფეროში (გარდა საბანკო და ნაწილობრივ სადაზღვევო) საქართველოსთვის საკმაოდ რთულად განსახორციელებელია. ამიტომ სხვა სფეროებისგან განსხვავებით, ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირის კანონმდებლობასთან დასაახლოვებლად, უფრო გრძელვადიან პერიოდს განსაზღვრავს.

ეროვნულ ბანკზე დაყრდნობით, საქართველო ცდას არ აკლებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის სექტორის განვითარებას. მოწოდებული მონაცემებით⁴⁰ შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ:

1. დერივატივების ბაზარი:
 - a. ეროვნული ბანკმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) ერთად დაიწყო მუშაობა საქართველოში დერივატივების ბაზრის განვითარების პროექტზე, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას უნდა შეესაბამებოდეს.
2. საინვესტიციო ფონდები:
 - a. ეროვნული ბანკი, ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, მუშაობს ახალ, ევროდირექტივების შესაბამისი და არსებული ბიზნესგარემოსთვის მორგებულ სამართლებრივ ჩარჩოს შემუშავებაზე.
3. ფასიანი ქაღალდების ბაზრის საზედამხედველო ჩარჩო და კანონმდებლობა:
 - a. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი წინაპირობაა გამართული საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა;
 - b. აღნიშნულის მისაღწევად, 2018 წელს გაფორმდა 3-წლიანი ხელშეკრულება საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ბელგიის ფასიანი ქაღალდების საზედამხედველო ორგანოს (FSMA) შორის. პროექტის მიზანია, მომზადდეს დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზედამხედველო ჩარჩოს და შეუსაბამებს მას ევროკავშირის სტანდარტებსა და IOSCO-ს (ფასიანი ქაღალდების კომისიათა საერთაშორისო ორგანიზაცია) პრინციპებს.
4. საგადასახადო გარემო:
 - a. 2017 წელს ძალაში შევიდა საგადასახადო კოდექსის იმ ცვლილებების ნაწილი, რომელიც სასესხო და სააქციო ფინანსური ინსტრუმენტების დაბეგვრასთან დაკავშირებით საგადასახადო შეღავათებს ითვალისწინებს. ცვლილებების პირველი პაკეტის შესაბამისად, ფასიანი ქაღალდების ვაჭრობის შემდეგ მიღებული შემოსავალი (capital gain) არ იბეგრება, რაც განაპირობებს მეორადი ბაზრის აქტიურობის ნახალისებას. ასევე, არ დაიბეგრება 2023 წლამდე გამოშვებული კორპორატიული ობლიგაციების კუპონები, აქციებზე გადახდილი დივიდენდების დაკავება კი გადახდის წყაროდან მოხდება.
5. ბაზრის ტექნიკური ინფრასტრუქტურა:
 - a. განახლდა ანგარიშსწორების ინტეგრირებული სისტემა (GPSS), რომელიც უზრუნველყოფს ავტომატიზებულ, სწრაფ და დაცულ ანგარიშსწორებას, რომელიც განხორციელდება მეთოდით – “მიწოდება გადახდის სანაცვლოდ.” (Delivery vs. Payment);

40 https://www.nbg.gov.ge/bankjournal/index.php?m=115&blog_id=190

b. მიმდინარეობს საფონდო ბირჟის სავაჭრო ინფრასტრუქტურის განახლება, რომლის მიზანიც საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი პლატფორმის შექმნაა.

იმედი ვიქონიოთ, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარიც ისევე კარგად განვითარდება, როგორც საბანკო სექტორი. ჯერჯერობით ბიზნესსექტორს საჭირო ფინანსების მოძიება ძირითადად ბანკებიდან უწევს. კაპიტალის ბაზარი, საბანკო სისტემის პარალელურად, ფინანსური რესურსების მოზიდვის ალტერნატიული წყაროა, მისი განვითარება ხელს შეუწყობს დანაზოგის უფრო ეფექტიან გადანაწილებას, რაც საბოლოოდ ისევ და ისევ ბიზნესის განვითარებას, სამუშაო ადგილების გაჩენას და საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს.

11. ზემოკლებების, სპეციფიური და უცხო სიტყვების განმარტებები

- **აქტუარი** – მათემატიკური სტატისტიკის და ფინანსური ანალიზის სპეციალისტი
- **qualifying holding** – კვალიფიცირებული საკუთარი თანხა – კვალიფიცირებული წილით მონაწილეობა კაპიტალში – პირდაპირი ან ირიბი მონაწილეობის წილი, რომელიც შეადგენს კაპიტალის 10 პროცენტს ან მეტს, ან ხმის უფლებას, ან გადაწყვეტილებების მიღების უფლებას, რომელსაც შეუძლია მართვაზე გავლენის მოხდენა.
- **EIOPA – European Insurance and Occupational Pensions Authority** – დაზღვევის ზედამხედველობის ევროპული ორგანო.
- **სადაზღვევო მედიაცია** – პროცესი, რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის არასასამართლო გზით – ურთიერთშეთანხმებით დასრულებას.
- **მედიატორი** – შუამავალი, მომრიგებელი.
- **HFT – high-frequency trading** – კომპიუტერულად მართული მაღალი სიხშირის საბირჟო ოპერაციები.
- **FSMA – Financial Services and Markets Authority** – ბელგიის ფინანსური სერვისებისა და ბაზრების საზედამხედველო ორგანო.
- **UCITS – Undertakings for Collective Investment of Transferable Securities** – მიმოქცევადაც ფასიან ქაღალდებში კოლექტიური ინვესტიციების განსახორციელებლად შექმნილი საწარმო, ანუ საინვესტიციო ფონდი
- **ფასიანი ქაღალდები** – ფინანსური ინსტრუმენტი და უფლება, რომელიც შეიძლება არსებობდეს მატერიალური ან ჩანაწერის სახით. ფასიანი ქაღალდებია: აქციები, ობლიგაციები, საგადასახადო დოკუმენტები (თამასუქი, ჩეკი), მოგების დამადასტურებელი ლატარიის ბილეთები და ა.შ.
- **ფინანსური ინსტრუმენტი** – შეთანხმება, რომელიც კავშირშია როგორც ერთი პირის მიერ აქტივის შექმნასთან, ასევე მეორე პირის მიერ ვალდებულების აღებასთან. ფინანსური ინსტრუმენტებია: ფული – ნაღდი და უნაღდო ფორმით, სესხი, თამასუქი და ფასიანი ქაღალდები: ოფციონი, ფორვარდი, სვოპი (დროებით რისამე შექმნა სამომავლოდ უკუყიდვის პირობით) და სხვ.
- **ემიტენტი** – პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით უშვებს ფასიან ქაღალდებს.
- **აქცია** – ფასიანი ქაღალდი, რომელიც მის მფლობელს აძლევს სააქციო საზოგადოების კაპიტალის მოგებიდან გარკვეული წილის მიღების უფლებას.
- **ობლიგაცია** – «ვალდებულება» – ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთი სახეობა, რომელიც შემოსავალს იძლევა მოგების ან პროცენტის სახით.
- **დერივატივი** – „გადაყვანილი“, რისგანმე წარმოებული, რისამე პროდუქტი, ფინანსური ხელშეკრულება, რომლის ღირებულება და ფულადი ნაკადები, ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, დამოკიდებულია საბაზისო აქტივზე ან საბაზისო მაჩვენებელზე.

- **ოფციონი** – დერივატივი, ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ერთი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში მომავალში მიჰყიდოს მას საბაზისო აქტივი (მაგ. საქონელი, ვალუტა, კომპანიის აქცია და ა. შ.) ან იყიდოს მისგან საბაზისო აქტივი იმ ფასად და პირობებით, რომელთაც მხარეები გარიგების დადების მომენტში განსაზღვრავენ.
- **ნეტინგი**- ურთიერთგაქვითვა.
- **SEPA – SingleEuroPaymentsArea** – ევროპის ერთიანი გადახდის ზონა.
- **FATF – FinancialActionTaskForceon Money Laundering-** ფინანსური ქმედების (ფულის გათეთრების სანინააღმდეგო) სპეციალური ჯგუფი.
- **MONEYVAL – CommitteeofExpertsontheEvaluationofAnti-Money LaunderingMeasuresandtheFinancingofTerrorism** – ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი.
- **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი** – კრედიტის ისეთი საპროცენტო განაკვეთი, რომლის გაანგარიშებაში გაითვალისწინება ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი, მომხმარებლის მიერ ამ ხარჯების განევის პერიოდის გათვალისწინებით.
- **IOSCO-InternationalOrganizationofSecuritiesCommissions** – ფასიანი ქაღალდების კომისიათა საერთაშორისო ორგანიზაცია.
- **CapitalGain** – კაპიტალის (ფასიანი ქაღალდები, სხვა მატერიალური ქონება) გაყიდვიდან მიღებული მოგება.
- **GPSS-GlobalPaymentSystemsSurvey** – ავტომატიზებული, სწრაფი და დაცული ანგარიშსწორების ინტეგრირებული სისტემა.
- **Deliveryvs. Payment** – “მიწოდება გადახდის სანაცვლოდ” – თანხის გადახდა და ფასიანი ქაღალდების გადახდა ერთდროულად ხდება – „ხელი ხელში“.
- **კონტენტი** – ეს არის ინფორმაცია, რომელიც საიტზეა განთავსებული, დაწყებული ტექსტიდან, ვიდეორგოლებით და სურათებით დამთავრებული.

12. ბანოყენებული წყაროები

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32009L0138>

https://global.theiia.org/translations/PublicDocuments/Standards_2011_Georgian.pdf

<http://www.aafa.ge/profession.html>

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29884?publication=27>

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1>

<http://www.insurance.org.ge/index.php?a=main&pid=348&lang=geo>

<http://insurance.gov.ge/Statistics.aspx>

https://europa.eu/rapid/press-release_IP-18-3731_de.htm

<http://gov.ge/program2018-2020/#p=20>

<https://pensions.ge/>

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/ALL/?uri=CELEX%3A32014L0065>

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=160>

<https://www.spiegel.de/wirtschaft/unternehmen/mathew-martoma-von-sac-capital-wegen-insiderhandel-verurteilt-a-990552.html>

<https://www.berkshirehathaway.com/reports.html>

<https://www.europeanpaymentscouncil.eu/about-sepa>

https://www.fms.gov.ge/Uploads/files/angariSi_2013.pdf

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4141653?publication=0>

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/ALL/?uri=CELEX%3A32008L0048>

<https://www.nbg.gov.ge/cp/index.php?m=612>

https://www.nbg.gov.ge/bankjournal/index.php?m=115&blog_id=190